



www.24saati.ge

გაზეთი 24 საათი

პარასკევი 16 იანვარი, 2009 წელი. №7 (2045)

ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიქციური ნომერი

\*2424

სტრასბურგის  
სასამართლოს  
საქმის  
საქართველოს

A5



პროტესტის ტალღა  
ევროპაში

A8



2008 წელი

A10



## რუსეთის სურვილი:

კონფლიქტის ზონები სავაჭრო-საინფორმაციო დამკვირვებლების გარეშე



დორა ბაკიანი: "უშუალოდ კონფლიქტის ზონებში და მთელს რეგიონში არსებული ვითარება ეუთო-ს მეტ ჩართვას მოითხოვს".

### დათო ბაჩისონია

გუშინ, ვენაში, ეუთო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს 2009 წლის პირველივე სხდომაზე, საქართველოში მოქმედი მისიისთვის მანდატის გაგრძელების საკითხი განიხილეს. ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის და ორგანიზაციის წევრი 55 ქვეყნის პოზიციის მიუხედავად, საქართველოში ეუთო-ს მისიის მანდატის გაგრძელება რუსეთის ფედერაციამ დაბლოკა.

გუშინდელი სხდომის დაწყებამდე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ახალმა მოქმედმა თავმჯდომარემ, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დორა ბაკიანისმა ეუთო-ს მისიის საქართველოში დარჩენის შესახებ მხარეებს შორის კონსენსუსის აუცილებლობაზე ისაუბრა. ბაკიანისმა

ასევე განაცხადა, რომ საქართველოში აგვისტოს კრიზისი ეუთოსთვის იყო როგორც გამოწვევა, ისე ხელსაყრელი შესაძლებლობა. "კრიზისმა შეარყია ეუთო-ს თვითდაჯერებულობა და შეგვახსენა, რომ ორგანიზაციის საქმე არ არის გაკეთებული.

ბაზრქაძე A3 გვირგვინი

## რუსული სახეივანი დანაშაულები სავაჭრო-საინფორმაციო ორგანიზაციის მოხსენებაში

ავტორიტეტულმა სავაჭრო-საინფორმაციო ორგანიზაციამ "ჰუმან რაითს ვოთჩმა" რუსეთში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური მოხსენება გამოაქვეყნა, რომელშიც ძირითადი ყურადღება რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსი სამხედროების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე გაამახვილა. მოხსენების თანახმად, გასული წელი თავად რუსეთშიც ხელისუფლების მიერ საზოგადოებაზე კონტროლის გაძლიერებით და ძალადობის გაგრძელებით ხასიათდებოდა.

ორგანიზაციამ რუსეთი დაადასაშაულა საქართველოსთან ომის დროს ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევაში და ოსი დამნაშავეების მიერ ჩადენილი დანაშაულების მიმართ უმოქმედობაში.

მოხსენებში აღნიშნულია, რომ კონფლიქტის დროს დაფიქსირებულია ადამიანის უფლებათა სავაჭრო-საინფორმაციო ნორმებისა და ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევები.

ბაზრქაძე A3 გვირგვინი

## "რეჟიმი დროის გვირი"

"24 საათის" გუშინდელ ნომერში, ანონიმ რუს ექსპერტზე დაყრდნობით, მკითხველს მიეწოდა ინფორმაცია მოსკოვში დაგეგმილი შეხვედრის შესახებ, სადაც "რუსეთში ქართველთა კავშირის" ხელმძღვანელი მიხეილ ხუბუტია ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლების, საპატრიარქოს და თავად უწმინდესის და უნეტარესის მიწვევას ვეგმავს, რათა სხვა საკითხებთან ერთად რუსეთსა და საქართველოს შორის საპაერო მიმოსვლის და უვიზო რეჟიმის აღდგენის საკითხები განიხილონ. კარგი წამოწყებაა, ვერაფერს იტყვის კაცი, მაგრამ საინტერესოა, ხუბუტიას და ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა სურვილზე დამოკიდებული ასეთი მაღალი დონის პოლიტიკური საკითხების მოგვარება? ცხადია, არა. უბრალოდ, ამ ღონისძიებით, ალბათ, ერთი ადამიანის გვირის მანტიით შემოსვა იგეგმება.

### ლევან საბანაძე

მიხეილ მიხეილის ძე ხუბუტიას პერსონა უკანასკნელ წლებში გახდა ცნობილი. განსაკუთრებით ხშირად ისმის მისი სახელი გასული წლის აგვისტოს შემდეგ, როდესაც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა.

თავისთავად ეს სახელი და გვარი არაფრის მთქმელია და არც მისი პიროვნება გახდებოდა ყურადღების ღირსი, რომ არა ის საფრთხე, რაც შესაძლოა სწორედ ხუბუტიას საქმიანობამ გამოიწვიოს.

ბაზრქაძე A4 გვირგვინი

**24 საათი**

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)

ჩვენი პარტნიორები:

ორი სიტყვით

თბილისი. გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე საქართველოში გაერო-ს ადგილობრივ წარმომადგენელ რობერტ ვოტკინს შეხვდა. შეხვედრაზე ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები და გაერო-ს მრავალი საქმიანობა განიხილეს. ინტერპრესსერვისი

თბილისი. "უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის" შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შედეგად, ავსტრალიის, მონაკოს, მექსიკის, ბრაზილიის, არგენტინის მოქალაქეები საქართველოში გამართლებული სავიზო რეჟიმით ისარგებლებენ. ჯი-ეიჩ-ენი

თბილისი. ოს სეპარატისტთა ლიდერ ედუარდ კოკოითის თქმით, ვიდრე თბილისი ოსი ხალხის გენოციდის ოფიციალურად არ აღიარებს, საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას არა აქვს მორალური უფლება, ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკებები აწარმოოს. ჯი-ეიჩ-ენი

თბილისი. გარდაბნის რაიონის სოფელ გარატხელეს მკვიდრი სალავან მირზა ოღლუ მირზოევი რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის მრჩეველად დაინიშნა. ჯი-ეიჩ-ენი

თბილისი. "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" "ინტერ რაოსთან" ხელმოწერილი მემორანდუმის გამო სპეციალურ განცხადებას აკეთებს და აღნიშნავს, რომ რუსული სახელმწიფო კოპანიისთვის მართვის უფლებით ენგურჰესის გადაცემა იურიდიულ საფუძველს ქმნის შემდგომში რუსეთის მიერ ამ სტრატეგიული ობიექტის ხელში ჩასაგდებად. ჯი-ეიჩ-ენი

საქართველოს პირველი ლედი ობამას ინაუგურაციაზე

აშშ-ს 44-ე პრეზიდენტ ბარაკ ობამას ინაუგურაციის ცერემონიას, რომელიც 20 იანვარს გაიმართება, საქართველოს პირველი ლედი დაესწრება. სანდრა რულოვსი ვაშინგტონში სპეციალურად ბარაკ ობამას ფიცის დადების ცერემონიაზე დასასწრებად ჩავა.

აშშ-ში ვიზიტის შემდეგ პირველი ლედი ჰოლანდიასა და ბელგიას ეწვევა. ის გამართავს შეხვედრებს ჰოლანდიის პარლამენტისა და სენატის წევრებთან.

ჯი-ეიჩ-ენი

საგარეო საქმეთა მინისტრმა გერმანიის ელჩი მიიღო

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ გუშინ საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი ქალბატონი პატრიცია ფლორი მიიღო.

შეხვედრის დროს მხარეებმა ისაუბრეს საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების (ეუთო, UNOMIG) მომავალზე, ევროკავშირის მისიის გაძლიერების აუცილებლობაზე და ორმხრივი ურთერთობების აქტიუალურ საკითხებზე. საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ რთულ მდგომარეობას.

შეხვედრაზე ითქვა, რომ ე.წ. "მიუნხენის კონფერენციას", რომელიც გერმანიამო ყოველი წლის დასაწყისში იმართება და უსაფრთხოების საკითხებს ეძღვნება, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე დაესწრება.

მედიაინფო

"ქრისტიან დემოკრატები" მოძრაობის განახლებულ პროგრამას გაზაფხულზე დაგეგმილ ყრილობაზე მიიღებენ

"ქრისტიან დემოკრატები" მოძრაობის განახლებულ პროგრამას გაზაფხულზე დაგეგმილ ყრილობაზე მიიღებენ, - ამის შესახებ მოძრაობის კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს.

"ქრისტიან-დემოკრატიული" მოძრაობის ლიდერ გიორგი თარგამაძის განცხადებით, პროგრამაში პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში მოცემული საკითხებიც აისახება.

მთავარი კომიტეტის სხდომაზე ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" 2009 წლის სამუშაო გეგმა დაამტკიცეს, რომლის ძირითადი პრიორიტეტებია: უსაფრთხოების, დემოკრატიული სისტემის გაძლიერების, ეკონომიკური სტაგნაციის შეჩერების, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები.

გიორგი თარგამაძის განცხადებით, მთავარი კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წევრობის კანდიდატად ირაკლი მოსეშვილის, გიორგი რუხაძისა და გრიგოლ ფარესაშვილის კანდიდატურებს წარადგენს.

ჯი-ეიჩ-ენი

ოპოზიციის განსხვავებული მიზნები და გეგმები

არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთიანი პლატფორმის ძიებას განაგრძობს. გუშინ გამართული კონსულტაციების მორიგი რაუნდის შემდეგ, ხელი-სუფლების ოპონენტები სამ ძირითად პუნქტზე შეთანხმდნენ.

"საქართველოს გზის" ლიდერ სალომე ზურაბიშვილის თქმით, პირველი საკითხი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადაყენებას გულისხმობს, მეორე - ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშნვა, მესამე კი არჩევნების ჩასატარებლად თავისუფალი და დემოკრატიული პოლიტიკურ-სამართლებრივი ბაზის შექმნა.

"საქართველოს გზის" ლიდერის განცხადებით, სამპუნქტიანი შეთანხმებას ხელი მოაწერეს "ახალმა მემარჯვენეებმა", "რესპუბლიკელებმა", "გაერთიანებულმა ოპოზიციამ", "ქალთა პარტიამ", "ტრადიციონალისტებმა", ნინო ბურჯანაძის "დემოკრატიულმა მოძრაობამ" - ერთიანი საქართველოსთვის", "ქართულმა პოლიტიკამ", "მრეწველებმა" და "მწვანეთა პარტიამ". შეთანხმებულ პრინ-

ციპებს არ ეთანხმება ნოლაიდელის "მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის".

"კონსულტაციები გრძელდება, არაფერი დასრულებულა და ყველაფერი მხოლოდ ახლა იწყება," - ოპტიმისტურად არის განწყობილი სალომე ზურაბიშვილი.

გუშინვე თითქმის ანალოგიური პოზიცია გამოხატა მოძრაობა "ერთიანი საქართველოსთვის" გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ. მისი კატეგორიული მოთხოვნაა პრეზიდენტის უპირობო გადადგომა, აგრეთვე რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშნვა და ჩატარება ახალი საარჩევნო კოდექსის საფუძველზე.

"მთელი საზოგადოება და ოპოზიციური სექტორი ერთი მიზნის გარშემო უნდა გაერთიანდეს. ეს არის მიხეილ სააკაშვილის უპირობო გადადგომა და მხოლოდ ამის შემდეგ ვადადელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, რომლებიც დემოკრატიული საარჩევნო კანონმდებლობით უნდა გაი-

მართოს," - დასძენს ბესელია.

საერთო ოპოზიციურ "ფერხულში" ჩაბმისგან თავს იკავებს ზურაბ ნოლაიდელი. მისთვის ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკური თემატიკა. ყოველ შემთხვევაში, გუშინ გამართულ ბრიფინგზე ექს-პრემიერი, ძირითადად, საბიუჯეტო ცვლილებების აუცილებლობაზე საუბრობდა. ნოლაიდელი ითხოვს, რომ სახელმწიფომ სასწრაფოდ მიიღოს ზომები ეკონომიკური ვარდნის შესაჩერებლად.

"თუ ბიუჯეტში ცვლილებები არ შევა და სახაზინო თუ უცხოეთიდან დახმარებების სახით მიღებული ფულადი თანხების ხარჯვა არ დაიწყება, საქართველოს ეკონომიკა მთლიანად ჩამოიშლება," - აფრთხილებს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ყოფილ თანაგუნდელებს.

მისივე მტკიცებით, "მოძრაობას სამართლიანი საქართველოსთვის" შემუშავებული აქვს სისტემა, რომლითაც "ნებისმიერი მოქალაქის ღირსეული სიბერე იქნება უზრუნველყოფილი."

ნოლაიდელის მსგავსად, ნაკლებად რადიკალური პოზიცია აქვთ "ქრისტიან-დემოკრატებს". გიორგი თარგამაძის საპარლამენტო ფრაქციამ გუშინ 2009 წლის სამუშაო გეგმა დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც, მიმდინარე წელს ფრაქციის მთავარი პრიორიტეტებია უსაფრთხოების, დემოკრატიული სისტემების გაძლიერება, ეკონომიკური სტაგნაციის შეჩერება, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, საშუალო და ღარიბი ფენების მიმე სოციალური ტვირთის განეიტრალების ღონისძიებების გატარება.

გარდა ამისა, მთავარი კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა, რომ "ქრისტიან-დემოკრატები" კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში წევრობის კანდიდატად ირაკლი მოსეშვილს, გიორგი რუხაძეს და გრიგოლ ფარესიშვილს წარადგენენ.

გუშინვე მოძრაობა "ქრისტიან-დემოკრატების" ახალ პრესსპიკერად და კომუნიკაციების დირექტორად ახალგაზრდული ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე ზაზა გაბუნია დაინიშნა.

"რუსეთს საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური დაუმტკიცდა, სერიოზული სანქციები ემუქრება"

"საქართველოს მწვანეთა პარტიის" ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ რუსეთს საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური დაუმტკიცდა, სერიოზული სანქციები ემუქრება. გაჩეჩილაძის განცხადებით, რუსეთი შეუერთდა აღნიშნულ კონვენციას და მას შესაბამისი ვალდებულებები

ჟენევის კონვენციას ომის წარმოების დროს გარემოს განადგურების შესახებ, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო საქართველო ამ კონვენციას არ შეუერთდა. გაჩეჩილაძის განცხადებით, რუსეთი შეუერთდა აღნიშნულ კონვენციას და მას შესაბამისი ვალდებულებები

აქვს აღებული. "საქართველო თავის დროზე რომ შეერთებოდა ამ კონვენციას, საქართველოში ჩამოვიდოდა საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი, რომელთა დასკვნაც გაერო-ს უშიშროების საბჭოზე გავიდოდა და მას შესაბამისი რეაგირება მოჰყვებოდა. რუსეთი შეერთე-

ბულია აღნიშნულ კონვენციასთან და თუ ქართული მხარე რუსეთის წინააღმდეგ შესაბამის არგუმენტირებულ დოკუმენტაციას მოამზადებს, რუსეთს სერიოზული სანქციები ემუქრება," - განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ.

ჯი-ეიჩ-ენი

ჭიათურის ტყის სარეაბილიტაციო სამუშაოებში 1500-მდე ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება

დღეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გოგა ხაჩიძე კახეთის რეგიონს ეწვევა. მინისტრი ლაგოდეხის რაიონში, გუბერნატორ გიორგი ლვინიაშვილთან და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) წარმომადგენლებთან ერთად, ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდება და ჭიათურის ტყეში სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას გერმანელ ექსპერტებთან ერთად ადგილზე შეამოწმებს. ბუნების დაცვის მსოფლიო

ფონდის მხარდაჭერით, ერთნობიანი პროგრამის ფარგლებში, ჭიათურის ტყის 150-დან 200 ჰექტარამდე ტყის მასივის სარეაბილიტაციო სამუშაოებში 1500-მდე ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებს მონაწილეობას, რაც მათი დასაქმების პერსპექტივაა. ქალის ტყეში 12-ათასამდე ქალის მუხის, რცხილის, იფნის, ნეკერჩხლისა და ალაზნის ქალებისთვის დამახასიათებელი სხვა სახეობები დაირგვება და ადგილობრივი ტყის ეკოსისტემა სრულად აღდგება. ლაგო-

დეში ხვალ, გარემოს დაცვის კომიტეტის წევრებთან ერთად, პარლამენტარებიც ჩავლენ. ჭიათურის ტყე ათი წლის განმავლობაში წყლით იყო დაფარული და მოსახლეობისთვის მალარიის გავრცელების საფრთხეს წარმოადგენდა. გასულ წელს, პირველ ეტაპზე, ტყის დამტბორ მდინარე კაბალაზე კალაპოტის გასანმენდად მობილიზებული იყო შესაბამისი ტექნიკა, წარმოებდა კაპიტალური სამუშაოები, რის შედეგადაც გაიჭრა მდინარის ახალი

კალაპოტი. ხანგრძლივი დატბორვის, უსისტემო ძოვებისა და მერქნის გადაჭარბებული ექსპლუატაციის შედეგად ქალის ტყის ეკოსისტემა განადგურების პირასაა მისული. აღდგენითი სამუშაოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკვე დაიხარჯა ერთი მილიონი ლარი. ტყის მასივის აღდგენა, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით, გაზაფხულიდან ინტენსიურად დაიწყება.

ჯი-ეიჩ-ენი

# რუსეთის სურვილი: კონფლიქტის ზონები სართაშორისო დამკვირვებლების გარეშე

პირველი გვერდიდან

ამიტომაც, ეს გვაძლევს შესაძლებლობას, გადავხედოთ იმ შექანიზმებს, რომლებიც ჩვენ შევიძლება ვთქვათ, რათა ხელახლა შევიტანოთ წვლილი შეთანხმებული ვალდებულებების სრულ განხორციელებაში და განვიხილოთ ახალი გზები მყარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საქართველოში ეუთო-ს მომავალ ყოფნას ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. ამჟამად, რომ უშუალოდ კონფლიქტის ზონაში და მთელს რეგიონში არსებული ვითარება ეუთო-ს მეტ ჩართვას მოითხოვს. ორგანიზაციას გააჩნია ხანგრძლივი ტრადიცია მნიშვნელოვანი და მოქნილი მოგვარებისა, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იმუშავებს, თუ ყველა მხარის კეთილი ნება და პოლიტიკური გამბედაობა იქნება," - განაცხადა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

რუსეთის ფედერაციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, განაცხადებდა არ შეცვალა.

ეუთო-ში საქართველოს წარმომადგენელ ვიქტორ დოლიძის თქმით, "მიღებული გადაწყვეტილება იმას არ ნიშნავს, რომ ეუთო-ს მოქმედება 18 თებერვალს დაიხურება. ამას მეტი დრო დასჭირდება, დაახლოებით მაის-ივნისამდე, ამდენად მოლაპარაკებების გასაგრძელებლად დრო კიდევ არის დარჩენილი."

მეტიც, საქართველოში ეუთო-ს მისიის მანდატის გაგრძელებაზე ზრუნვას უშუალოდ საბერძნეთის ხელისუფლება აპირებს. დორა ბაკოიანისის თქმით, იგი მომავალ კვირაში მოსკოვში ჩასვლას და მანდატის შესახებ მოლაპარაკების წარმოებას გეგმავს.

ეუთო-ს მუდმივმოქმედი კომისიის გუშინდელ სხდომაზე განვითარებულ მოვლენებს საქართველოში ეხმაურებიან. ქართველი დეპუტატების თქმით, რუსეთის პოლიტიკის შედეგად, კონფლიქტის ზონები საერთაშორისო დამკვირვებლების გარეშე რჩება, ამიტომ რუსეთს იქ ევროკავშირის მისიის წარმომადგენლების შემოწმებას უფრო მკაცრად მოსთხოვენ.

"რუსეთმა არ შეასრულა ევროკავშირთან აღებული პირობა, არ გაიყვანა ჯარები, არ დააბრუნა დევნილები და ყოველდღე არღვევს იმ წესებს, რომლებიც მიღებულია ეუთო-ში, საერთაშორისო თანამეგობრობაში," - განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის ექსპერტ კახა გოგოლაშვილის თქმით, "გასაგებია, რომ რუსეთი წინ აღუდგება ნებისმიერ განაცხადს, რათა გააძვიროს საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს კონფლიქტური რეგიონებიდან. მას შემდეგ, რაც რუსეთის პოლიტიკის გამო ძველი სახით ეუთო-ს მისიის შენარჩუნება შეუძლებელი აღმოჩნდა, საქართველო საკმაოდ კომპრომისულ წინადადებას დათანხმდა. ეს გულისხმობდა ორი მისიის არსებობას - როგორც თბილისში, ასევე ცხინვალში. როგორც ჩანს, რუსეთს არც ეს ვარიანტი აძლევს ხელს. პრაქტიკულად, მათ მი-

სიის არარსებობა სურთ."

ექსპერტის აზრით, რუსეთის განაცხადების ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ე.წ. სამხრეთ ოსეთში არ იყოს მილიტარიზაციის კონტროლი: "რუსებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში შეიქმნა საქართველოზე თავდასხმის პლაცდარმად გადაქციონ."

თავის მხრივ, ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ხელმძღვანელსაც არ სურს ეუთო-ს მანდატის შეწყვეტა, თუმცა კოკოითიც საკუთარ პირობებს აყენებს: "მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთში ეუთო ავტორიტეტით არ სარგებლობს, ცხინვალს არ სურს, რომ რკინის ფარდით გამოეყოს დანარჩენ მსოფლიოს. ამიტომ ეუთო-ს უნდა ჰქონდეს ურთიერთობები ცხინვალთან, როგორც თანასწორ პარტნიორთან," - განმარტა კოკოითი.

როგორც კახა გოგოლაშვილი განმარტავს, "რუსეთს, რა თქმა უნდა, არ ადარდებს მარიონეტული რეჟიმის პოზიცია, ამ შემთხვევაში ეს მისი პრობლემა არ არის."

## დავით ტყეშელაშვილმა კახეთში მთავრობის პრიორიტეტები გააცხადა

სახელმწიფო მინისტრი რეგიონული მართვის საკითხებში დავით ტყეშელაშვილი გუშინ სამუშაო ვიზიტით თელავში იმყოფებოდა. ტყეშელაშვილმა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, რეგიონის პრობლემები განიხილა და პრიორიტეტები ჩამოაყალიბა. როგორც რადიო "ჰერეთს" დავით ტყეშელაშვილმა განუცხადა, "2009 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან 45 მილიონი ლარი გამოიყოფა, აქედან 20 მილიონი გომბორის გზის მშენებლობაზე, 2,5 მილიონი სოფლის განვითარების პროგრამაზე დაიხარჯება, ხოლო 23 მილიონი ლარი რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება, რაც კახეთში გზებისა და სკოლების რეაბილიტაციას ითვალისწინებს."

რეგიონული მართვის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრას კახეთის გუბერნატორი, რაიონის გამგებლები და მაჟორიტარი დეპუტატები ესწრებოდნენ.

ჯი-ეიჩ-ენი

## "2009 წელს პრიორიტეტი სამუშაო ადგილების შექმნა იქნება"

2009 წელს სოფლის მეურნეობის დარგში პრიორიტეტი სამუშაო ადგილების შექმნა იქნება, - ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეხერელმა მთავრობის სხდომის დანახვის წინ განაცხადა. "პრიორიტეტები უცვლელი რჩება, რადგან დარგი რენტაბელურობას ინარჩუნებს. წელს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ინფრასტრუქტურის განახლებას ვგეგმავთ, რათა გასულ წლებში დაწყებული სამელიორაციო-სარწყავი სისტემების მშენებლობა დაგასრულოთ," - განაცხადა კვეხერელმა.

ჯი-ეიჩ-ენი

## გრიგოლ მგალობლიშვილი ანტიკრიზისულ გეგმას მნიშვნელოვნად აფასებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი ანტიკრიზისულ გეგმას მნიშვნელოვნად აფასებს. როგორც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერმა განაცხადა, "ანტიკრიზისული გეგმის ნაწილი სწორედ სოფლის მხარდაჭერა და რეგიონული განვითარებაა". მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ანტიკრიზისული გეგმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეხერელმა წარმოადგინა. გეგმაში ის ღონისძიებებია განერილი, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2009 წელს გაატარებს.

პირველი

## ოპოზიციის სამი მიზანი

პარტია "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციების შედეგები წარმოადგინა. მისი თქმით, კონსულტაციების პირველი ეტაპის შემდეგ ყველა პოლიტიკური პარტია თანხმდება სამ პუნქტზე: მიხეილ სააკაშვილი გადადგეს პრეზიდენტის თანამდებობიდან, ჩატარდეს ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, შეიქმნას სათანადო პირობები დამოუკიდებელი არჩევნებისთვის. "ეს არის ჩვენი სამი მიზანი. ჩვენ დღეს ერთად ვართ. ჩვენ შორის გრძელდება კონსულტაციები იმ პროცესებზე, რომლებიც შემდეგ უნდა განვითარდეს და ჩვენი მიზანია, რომ ამ პროცესში ჩართული იყოს საზოგადოება. ეს არ არის მონოპოლია, რომ მართო პოლიტიკურმა პარტიებმა წარვმართოთ პროცესი. ქვეყნის გადარჩენა მთელი ერის ვალდებულებაა. ჩვენ ერთად დავდგებით, ხელს მოვანერთ გავფორმებულ დოკუმენტს," - განაცხადა ზურაბიშვილმა.

ჯი-ეიჩ-ენი

## აფხაზეთში ქართული პასპორტის მქონე მოქალაქეებს გადასახადებს გაუზრდინა

აფხაზი სეპარატისტების მიერ გალის რაიონის მოსახლეობაზე ზეწოლა გრძელდება. აფხაზეთის სეპარატისტულმა რეჟიმმა გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში იძულებითი პასპორტიზაციის ახალი ეტაპი დაიწყო. ვისაც აფხაზური პასპორტი არა აქვს, მათზე სერიოზული ფინანსური ზეწოლა ხორციელდება. როგორც გალის რაიონის ქართული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პაატა შამუგიამ განაცხადა, სეპარატისტები გალის რაიონის მოსახლეობისთვის გადასახადების მომატებას აპირებენ და გაზრდილი გადასახადები მხოლოდ ქართული პასპორტის მქონე პირებზე გავრცელდება. "ზავში სკოლაში რომ მიდის, მშობლებს უმოწმებენ, აქვთ თუ არა აფხაზური პასპორტი. თუ საქართველოს მოქალაქეები არიან, მაშინ ამ ბავშვს ყველანაირად სამედიცინო მომსახურებას და სხვა სახის დახმარებას უუქმებენ. მოსახლეობის რაღაც ნაწილმა ვერ გაუძლო სეპარატისტების მრავალმხრივ ზეწოლას და აფხაზური პასპორტები აიღო, თუმცა უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეობას ინარჩუნებს," - განაცხადა პაატა შამუგიამ.

მედიანუსი

# რუსული სამხედრო დანაშაულები სართაშორისო ორბანიზაციის მოხსენებაში

პირველი გვერდიდან

"რუსული ძალები იყენებდნენ კასეტურ ბომბებს გორისა და ქარელის რაიონების დასახლებულ ადგილებში, რასაც სამოქალაქო პირების დაღუპვა და დაშავება მოჰყვა. სამოქალაქო მსხვერპლს ადგილი ჰქონდა რუსული ძალების მიერ არაშერჩევითი სარაკეტო დარტყმების შედეგადაც," - აღნიშნულია მოხსენებაში.

მოხსენების ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ რუსულმა ძალებმა ვერ უზრუნველყვეს სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოება მათ მიერ ფაქტობრივად კონტროლირებად საქართველოს ტერიტორიაზე. იმავდროულად, ისინი საშუალებას არ აძლევდნენ საქართველოს ხელისუფლებას, ამ ტერიტორიებზე მართლწესრიგი დაეცვა. ამის შედეგად შეიქმნა უკონტროლო ვითარება, რომლის პირობებშიც ოსი მოხალისეები და დამნაშავეთა ბანდები ძარცვავდნენ და წვაავდნენ სახლ-

ებს, კლავდნენ, აუპატიურებდნენ და ატერორებდნენ მოსახლეობას, - აღნიშნავს "ჰუმან რაიტს ვითი".

"რუსმა სამხედროებმა და ოსმა მოხალისეებმა დააკავეს სულ მცირე თოთხმეტი ქართველი სამხედრო, რომლებსაც სასტიკად აწამებდნენ და მათ მიმართ სხვა სახის არანებადართულ მოქცევას მიმართავდნენ, მათ შორის ცემას, დამწვრობების მიყენებას და საკვების გარეშე დატოვებას. სულ მცირე ერთი ქართველი ჯარისკაცი სასამართლოს გარეშე სიკვდილით დაისაჯა," - ნათქვამია მოხსენებაში.

მოხსენება ასევე ვრცლად ეხება ადამიანის უფლებების მდგომარეობას თავად რუსეთში. კერძოდ, უფლებათა დამცველი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ გასულ წელს რუსეთის ხელისუფლებამ გაამკაცრა კონტროლი სამოქალაქო საზოგადოებაზე "კანონის შერჩევითი გამოყენების, მედიის ცენზურისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დენის გზით".

განსაკუთრებული ადგილი მოხსენებაში ჩეჩნეთს დაეთმო. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჩეჩნეთის პრეზიდენტის რამზან კადიროვის უშიშროების სამსახური კვლავაც ახორციელებს წამებას და არალეგალურ დაპატიმრებებს. ასევე ხაზი გაესვა სიტუაციას ინგუშეთში, სადაც გასულ წელს ოპოზიციური ინტერნეტ-რესურსის მფლობელი მაგომედ ევლოევი მოკლეს და მიტინგის დროს ათი ჟურნალისტი დააპატიმრეს.

"ინგუშეთში, შეიარაღებული მემბროხების წინააღმდეგ ოპერაციების ფარგლებში, ძალიან სტრუქტურები სერიოზულად არღვევდნენ ადამიანის უფლებებს, მათ შორის თვითნებური დაკავების, წამების, ძალისმიერი გაუჩინარებებისა და სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯის გზით," - აღნიშნულია მოხსენებაში.

"ჰუმან რაიტს ვითი" აღნიშნავს, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ მოსკოვზე ზემოქმედება ვერ შეძლო. "იმის

მიუხედავად, რომ არაერთი მსოფლიო ლიდერი გამოთქვამდა შეშფოთებას რუსეთში შექმნილი ვითარების გამო, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები რუსეთთან მოლაპარაკებებში მეთორხმეტიდან თემად იქცა. ევროკავშირმა ვერ აიძულა რუსეთი მუდმივად იმუშაოს ადამიანის უფლებების დაცვაზე," - ნათქვამია დოკუმენტში.

როგორც, თავის მხრივ, "ჰუმან რაიტს ვითის" აღმასრულებელი დირექტორი კენეტ როტი თავის სტატიაში აღნიშნავს, "იმის მიუხედავად, რომ რუსეთმა ადამიანის უფლებების პატივისცემა ფორმალურად აღიარა, სუვერენიტეტს ადამიანის უფლებებზე მაღლა აყენებს". რუსეთმა, როტის აზრით, "შენწყვიტა ჩეჩნეთში საკუთარი ქმედებების გამოძიება და აიძულა ევროპის ქვეყნები, შეენწყვიტათ პროტესტის გამოთქმა ამასთან დაკავშირებით".

საკუთარი ინფორმაცია

# ჰოლანდიელი ჟურნალისტის სახელობის პრემია

საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსკი ქართველი ჟურნალისტებისთვის, საქართველოში რუსული აგრესიის დროს დაღუპული ჰოლანდიელი ჟურნალისტის ხსოვნის

საპატივცემულოდ, "სტან სტორი-რემანის სახელობის სტიპენდია" დაანესებს. "სტან სტორი-რემანის სტიპენდია" იმ ქართველი ჟურნალისტებისთვის დაწესდება, რომ-

ლებიც ჰოლანდიაში პროფესიული განათლების გაგრძელების სურვილს გამოთქვამენ. ცნობისათვის - ჰოლანდიელი ოპერატორი სტან სტორი-რემანი საქართველოში რუსული

აგრესიის დროს, გორში 12 აგვისტოს დაიღუპა. მისი გარდაცვალების მიზეზი რუსული კასეტური ბომბი გახდა.

ჯი-ეიჩ-ენი

# "ჩვენი დროის გმირი"

პირველი გვარდიან

ბიოგრაფია არცთუ ისე მდიდარი, თუმცა, კარგი დაკვირვების შემდეგ, საინტერესოა აქვს. 1966 წელს ზუგდიდში დაბადებულმა ბიჭმა, სკოლის დასრულების შემდეგ, სამხედრო ვალი საბჭოთა სამშობლოს წინაშე მოსკოვის ოლქის პატარა ქალაქ ხიმკიში მოიხადა. 1986 წელს, სამხედრო სამსახურის გაგლის შემდეგ, მიხეილ ხუბუტია კომუნისტური პარტიის წევრიც გახდა და კარიერის გაგრძელება დიდ რუსეთშივე გადაწყვიტა. მან ჯერ პლენანოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემია დაამთავრა, ხოლო შემდეგ კი მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და იურისტის დიპლომაც აიღო. მის ბიოგრაფიაში არ ჩანს, თუ რას საქმიანობდა ბატონი ხუბუტია 1999 წლამდე, როდესაც ის, 33 წლის ასაკში, საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა - მოსკოვის ოლქის მთავრობის ვაჭრობის მინისტრად.

მისი კარიერის აღმასვლაც სწორედ 1999 წლიდან იწყება. ამ თანამდებობაზე ორწლიანი მუშაობის შემდეგ, ის სახელმწიფო სავაჭრო ინსპექციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. ამჟამად კი, ბატონი ხუბუტია სააქციო საზოგადოება "გოსტინნი დვორის" გენერალური დირექტორია და პარალელურად საზოგადოებრივ ორგანიზაცია "რუსეთში ქრთველთა კავშირს" ხელმძღვანელობს. მის ბიოგრაფიაში საკმაოდ შთამბეჭდავად ჩანს რუსეთის ხელისუფლებისგან და პირადად პრეზიდენტისგან მიღებული ჯილდოები და ორდენები, რაც მან რუსეთის მოქალაქეთა პატრიოტული აღზრდისა და "დიდ სამამულო ომში გამარჯვების 60 წლის იუბილის მომზადებისა და ჩატარებისთვის" მიიღო. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ მიხეილ ხუბუტია რუსეთის მმართველი პარტიის "ედინაია როსიას" წევრია.

თუ კარგად დავაკვირდებით მის ბიოგრაფიას, სულ ცოტა ორი მთავარი კითხვა ჩნდება. პირველი: რას საქმიანობდა ბატონი ხუბუტია სწავლის დასრულებიდან 1999 წლამდე და რატომ არ არის მის ბიოგრაფიაში ეს პერიოდი აღწერილი? ამ კითხვიდან კი ლოგიკურად გარდებულად მეორე კითხვა ჩნდება: რა დამსახურებისთვის დაინიშნა ხუბუტია პირდაპირ ისეთ მაღალ თანამდებობაზე, როგორც მოსკოვის ოლქის ვაჭრობის მინისტრის პოსტია და რით მიიპყრო რუსეთის ხელისუფლების ყურადღება 33 წლის ზუგდიდელმა ბიჭმა? თანაც 1999 წელი რუსეთის ისტორიაში გარდატეხის წელია, როდესაც მთავრობის თავმჯდომარე "ფეცსბეს" შეიქმნა ვლადიმერ პუტინი ხდება და რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლები ქვეყნის საკვანძო თანამდებობებზე ინიშნებიან. სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ კი "კაგებეს" ვიცე-პოლკოვნიკი პუტინი ქვეყნის პრეზიდენტი ხდება და ლუბიანკაზე შეკრებილ "კაგებეს-ნიკებს" საზეიმოდ უპატივებს: "ნომერ პირველი ამოცანა - ხელისუფლების მოპოვება, შესრულებულია."

რუსული სპეცსამსახურების მიზნების და საქმიანობის შესახებ მსჯელობა შორს წავიყვანს. სჯობია კვლავ "ჩვენი დროის გმირს" დავეუბრუნდეთ.

**"საბჭოთა ეპოქის სპეცსამსახურებში ახალგაზრდების გადამზადება ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი იყო. საბჭოთა არ-**



ძალაუნებურად კაცს კინოფილმ "მიმინოს" პერსონაჟი ნუგზარ პაპიშვილი გაახსენდება.

მიის ყველა ნაწილში იჯდა სამხედრო დაზვერვის მთავარი სამმართველოს ოფიცერი. სამოქალაქო სექტორს კი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის - "კაგებეს" -ს თანამშრომელი უყურებდა. მათი მთავარი მოვალეობა მომავალი კადრების და აგენტურის შერჩევა იყო. თვალთახედვის არეში მოხვედრილი კანდიდატის კარგად შესწავლის შემდეგ, სპეცსამსახურის თანამშრომელი ატარებდა კანდიდატის გადმოზიდვის სათვის შესაბამის სამუშაოს. ამ პროცესში მთავარი მოტივაცია კანდიდატისათვის ძირითადად კარგი ხელფასი, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და მომხიბვლელ კარიერაში ხელშეწყობა იყო. რასაკვირველია, საბჭოთა სამშობლოსადმი და პარტიისადმი "უანგარო" სიყვარულის და ერთგულების გარეშე ეს გამორიცხული იყო. საკმაოდ დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს პერიფერიებიდან და პროვინციებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს, რომლებსაც ცხოვრების კარგად მოწყობის ჟინი ამოძრავებდათ. თანხმობის შემთხვევაში, კანდიდატი ყოველგვარი პრობლემის გარეშე ხდებოდა პარტიის წევრი. ამის შემდეგ, იწყებოდა მისი მომ-

ზადება ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად. ამ მომზადებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა, ხანდახან რამდენიმე წელიც, გააჩნია რისთვის იყო კანდიდატის გამოყენება გამიზნული," - განაცხადა ჩვენთან საუბარში ყოფილი "კაგებეს"-ს და შემდგომ საქართველოს ერთ-ერთი სპეცსამსახურის ყოფილმა ინკოგნიტო მაღალჩინოსნმა.

რასაკვირველია, ჩვენ არაფერს არ ვამტკიცებთ, მაგრამ ვარაუდი და ეჭვები თავისთავად ჩნდება, თუკი ანონიმი რესპონდენტის ნათქვამს და "ჩვენი დროის გმირის" ბიოგრაფიას ერთმანეთს შევადარებთ...

ხუბუტიას თავბრუდამხვევი კარიერა კი ამით არ სრულდება. მას ერთ მშვენიერ დღეს კეთილშობილური იდეა გაუჩნდა და "რუსეთში ქრთველთა კავშირიც" დააარსა. "კავშირის მიზნები და ამოცანები ღირსეული და კეთილშობილურია - რუსეთში მცხოვრებ ქრთველთა თვითმყოფადობის შენარჩუნება და განვითარება, მშვიდობის გამყარება, საქართველოსა და რუსეთის შორის მეგობრობის და თანხმობის ხელშეწყობა, ქრთველების ეკონომიკური, სოციალური უფლებების და კულტურ-

ულ-საგანმანათლებლო ინტერესების დაცვა რუსეთში," - ასეთია ორგანიზაციის მიზნები, რასაც თავად კავშირის ვებ-გვერდზე ვეცნობით. ამ მიზნების განხორციელებაც დაწყებულია და ცუდი ამბი არაფერია. ორგანიზაცია რეალურად ეხმარება რუსეთში მცხოვრებ ქრთველებს სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში. თუმცა, სახიფათოა ის უფრო დიდი მიზანი, რაც ამ კეთილშობილური საქმიანობით იქნება მიღწეული.

ხუბუტიას "კეთილშობილური" მოღვაწეობიდან გამომდინარე მთავარი ხიფათის გამოსაცნობად კი საიდუმლო მასალების გაცნობა სულაც არ გახლავთ საჭირო. უბრალოდ ინტერნეტში ძებნა თუ გეხერხებათ, შეგიძლიათ იხილოთ "ჩვენი დროის გმირის" ინტერვიუები და გამონათქვამები, ინფორმაცია ჩატარებული შეხვედრების შესახებ. დრო რომ არ დაკარგოთ, რამდენიმე მათგანს შემოგთავაზებთ:

### "გმირობა" პირველი:

ნაწყვეტი ინტერვიუდან მიხეილ ხუბუტიასთან, რომელიც მისსავე პერსონალურ ვებ-გვერდზე დევს.

**მ. ხუბუტია:** მე შემიძლია ჩვენი საყვარელი პრეზიდენტის ციტატა მოვიყვანო: "არასოდეს თქვა არასოდეს"

**ა. ვორობიევი:** თქვენი საყვარელი პრეზიდენტის? ვინ გყავთ მხედველობაში?

**მ. ხუბუტია:** არაკორექტული კითხვაა. ჩვენ ერთი პრეზიდენტი გვყავს.

**ა. ვორობიევი:** თქვენ რუსი ხართ?

**მ. ხუბუტია:** რასაკვირველია

### "გმირობა" მეორე:

მიხეილ ხუბუტიამ მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის წიგნის - "სიყვარულის შესახებ" - გამოცემა და გავრცელება ითავა. წიგნი საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებს ეხება. წიგნის გამოცემამდე კი ლუჟკოვმა ამ თემაზე ესეე დაწერა, ხოლო ხუბუტიამ, როდესაც მოსკოვის მერის "შედეგრი" ნაიკითხა, თურმე იტირა. ეს ის ლუჟკოვია, რომელმაც დანაშაულებრივი გარიგებებით იყიდა კერძო საკუთრებები აჭარასა და აფხაზეთში. აჭარაში მისი ქონება ასლან აბაშიძესთან ერთად ჩაბარდა ისტორიას, ხოლო აფხაზეთში მოსკოვის მერი ისევ ფლობს და განკარგავს ქართულ ქონებას. ხუბუტია კი ლუჟკოვისგან წიგნის გამოცემის ორგანიზებისათვის ფინანსებს იღებს და ტირის:

**"ეს ლუჟკოვის ბავშვობის შესახებაა. წიგნი ხუთი ათასი ეგზემპლარით გამოიცა. როცა მე ის ნავიკითხე, ცრემლები მომადგა. მე ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა ამ წიგნის გამოცემა და გავრცელება... ჩვენ გვესმის, თუ როგორი იყო რუსულ-ქართული ურთიერთობები ადრე. ნუთუ ეს ურთიერთობა ჩვენთან ერთად წავა? და ახალგაზრდობა და შემდგომი თაობები ვერ გაიგებენ ამის შესახებ? ვინ არის ამით დაინტერესებული? რასაკვირველია მესამე ქვეყნები. საქართველოში იქმნება რუსული ოკუპაციის მუზეუმი, ჩვენს პოლიტიკოსებს შეუარცხყოფას აყენებენ საქართველოში. ამბობენ, რომ ჩვენ შევიძლია ფეკალიების დაღვევა. თუმცა, ზოგიერთმა ასეთმა ჩინოვნიკმა უკვე დატოვა თავისი თანამდებობა. ჩვენ კი საპასუხოდ გზას ვუკეტავთ ქართულ პროდუ-**

ქციას, ვდევნით ქრთველებს, ვკეტავთ ტრანსპორტის მიმოსვლას. საქართველოში უკვე ავიწყდებათ რუსული ენა, რუსული კულტურა. და რა ვუყოთ ჩვენს ისტორიას, იმ ომებში დაღუპულთა სსოვნას, ვინც ჩვენს საერთო სამშობლოს იცავდა? რა ვუყოთ მაიაკოვსკის, გრიბოედოვს და ა.შ? სწორედ ეს არის ამ წიგნში ნათქვამი, იური მიხაილოვიჩი სიყვარულს უხსნის ქრთველ ხალხს და ამ მიზნს, რომელიც საუკუნეებით და ათასწლეულებით რუსეთთან არის დაკავშირებული." ძალაუნებურად, კინოფილმ "მიმინოს" პერსონაჟი ნუგზარ პაპიშვილი გაახსენდება კაცს.

### "გმირობა" მესამე:

ხუბუტიას პაპიშვილობა მარტო წინა "გმირობით" არ სრულდება. იმ დროს, როდესაც რუსული ავიაცია ქართულ სოფლებს და ქალაქებს ბომბავდა, ასობით ადამიანი იხოცებოდა და უსახლკაროდ რჩებოდა, "ჩვენი დროის გმირმა" საჯაროდ განაცხადა:

**"მე მრცხვენია, რომ ქრთველმა დედამ შობა ისეთი არაკაცები, როგორიც მიხეილ სააკაშვილი და მისთანებია. ლამაზი სიტყვების უკან პატარა ფიურერის გეგმები იმალებოდა, რომელმაც ჩვენი საქართველო აგრესორად აქცია, დღეს ოსეთის და საქართველოს ხალხებს ანადგურებს ძმთამკვლელ ომში ჩართვით."**

### "გმირობა" მეოთხე:

ამ განცხადების შემდეგ ერთი თვე გადის და სექტემბერში ხუბუტია უკვე ცინიკურად აცხადებს: "ჩვენ მადლიერები ვართ იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლება თანადგომას უწევს ქრთველ ხალხს, როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის ტერიტორიაზე".

როგორც ჩანს, სწორედ ამ მადლიერების გასაზიარებლად ეახლნენ მედვედევს ხუბუტია და მისი მეგობრები - ზურაბ ნერეთელი, ლეო ბოკერია, სოსო ორჯონიკიძე და ბადრი მელაძე. შეხვედრა 2008 წლის 18 სექტემბერს გაიმართა, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ჩვენი ქვეყნის დიდი ნაწილი დაიპყრო, რაც რუსეთის პრეზიდენტის "წყალობით" საქართველოში უცნობი ქრთველი გმირების საფლავები გაჩნდა.

გასაკვირი არაფერია. ხუბუტია აბსოლუტურად გულწრფელია. მან ხომ თავად განაცხადა, რომ ის რუსია და არა ქართველი, რომ მისი პრეზიდენტი პუტინი-მედვედევის ტანდემია. ისიც ცხადია, რომ "ქრთველთა კავშირი რუსეთში" რუსული პროექტია, რომელიც ან ლუბიანკაზე, ან იასენევიჩოვსა დაწერილი. მაგრამ ამ შემთხვევაში იმ ქრთველთა განზრახვაა საინტერესო, ვინც ხუბუტიას გვერდით დგას და ამ კავშირშია გაერთიანებული. მათი ხელით ხომ ხუბუტიას პარტიული კარიერა მიიწვეს ზვეით. ამ აღმასვლას კი ვერაფერს დავარქმევთ, გარდა ერთი სიტყვისა - რენეგატი. პროექტის ავტორები კი ილიმებიან და მოსკოვში მათივე დაფინანსებით ჩასული ქრთველების სიას ადგენენ. ამ შეხვედრის შემდეგ კი ლუბიანკაზე მეორე სიაც შედგება - იმ ქრთველების, ვინც ხუბუტიას მასპინძლობაზე უარი თქვა.

# სტრასბურგის სასამართლოს სანქციები საქართველოს

453 666 ევრო – ეს ის საჯარიმო თანხაა, რომლის გადახდაც, სტრასბურგის სასამართლოს მიერ შვიდ საქმეზე გამოტანილი ვერდიქტის საფუძველზე, საქართველოს ხელისუფლებას დაეკისრა. ოლონდ, ამჟამინდელ ხელისუფლებას წინამორბედის ცოდვების გადახდა უწევს, რადგანაც, შვიდივე საქმე ყოფილი ხელისუფლების მართლმსაჯულების მიერაა განხილული.

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ, ხუთი წლის მანძილზე, საქართველოდან სტრასბურგის სასამართლოში 200-ზე მეტი განაცხადი გაიგზავნა. ოფიციალური მონაცემებით, ევროსასამართლომ რეგისტრაციაში 60-ზე მეტი საქმე გაატარა, რაც იმას ნიშნავს, რომ “საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ” შესული საჩივრებიდან სტრასბურგის 60-ზე მეტი საჩივარს დანამდვილებით განიხილავს და გადაწყვეტილებასაც გამოიტანს. მომჩივანთა უმეტესობა ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ დარღვეული უფლებების გამო ჩივის.

“საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ” ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 16 განაცხადი გააგზავნა. “კალაძე საქართველოს წინააღმდეგ”, “მაკარაძე საქართველოს წინააღმდეგ”, “ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ”, “კაკაბაძე და სხვა 4 საქართველოს წინააღმდეგ”, “ჩოხელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ”, “მირცხულავა საქართველოს წინააღმდეგ”, “ძიძავა რუსეთის წინააღმდეგ”, “ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ”, “კორაკოსიანი საქართველოს წინააღმდეგ”, “ბალათური საქართველოს წინააღმდეგ”, “ჯანგურაშვილი საქართველოს წინააღმდეგ”, “მალანია საქართველოს წინააღმდეგ” “ლ და 18 სხვა საქართველოს წინააღმდეგ”, “შ. საქართველოს წინააღმდეგ” - “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” მიერ სტრასბურგში გაგზავნილი საქმეები სასამართლომ წარმოებაში მიიღო და სარეგისტრაციო ნომერიც მიანიჭა. ზოგერთი მათგანი კი პრიორიტეტულადაც მიიჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროსასამართლო მათ დაჩქარებული წესით განიხილავს.

საქართველოს მოქალაქეები ევროპის სასამართლოში, ძირითადად, ევროკონვენციის მე-3, მე-5 და მე-6 მუხლების



ხელისუფლების სამართლებრივი დარღვევებისთვის სტრასბურგს ქვეყნის ბიუჯეტისთვის საჯარიმო სანქციები ჯერჯერობით არ დაუენებია.

დარღვევის გამო ჩივიან: სასჯელალსრულებების დაწესებულებებში არსებული არასათანადო პირობების გამო, რომელიც არაადაამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას უტოლდება, უკანონო პატიმრობის არასწორად შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიებები და სამართლიანი სასამართლოთი სარგებლობის უფლების წართმევისთვის.

იურისტთა განცხადებით, მოქალაქეები ადრე ასე არ აქტიურობდნენ და, შესაბამისად, არც ამდენი განაცხადი იგზავნებოდა სტრასბურგის სასამართლოში. დღეისთვის კი ძალიან ბევრი საქმე იგზავნება ევროსასამართლოში, მიუხედავად იმისა, რომ პროცედურა ძალიან ხანგრძლივია და საქმის განხილვას ზოგჯერ 4-5 წელიც სჭირდება. მართალია, არსებობს პრიორიტეტული საქმეები, როდესაც პიროვნება პატიმრობაში იმყოფება და მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, მაგრამ ევროპის სასამართლო იმდენად გადატვირთულია, რომ პრიორიტეტული საქმეებიც კი 3-4 წლის განმავლობაში განუხილველია.

ექსპერტთა განცხადებით, იმისათვის, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ შემცირდეს საჩივრების რიცხვი, საქართველოს სახელმწიფოს შიგნით ეფექტურად განხორციელდეს ყველა ის უფლება, რაც ევროპის კონვენციითაა განსაზღვრული.

“ასეთ შემთხვევაში არ გა-

ხდება საჭირო, უკმაყოფილო მოქალაქემ სამართლიანობის დასადგენად მაინცდამაინც საერთაშორისო მექანიზმებს მიმართოს. გარდა ამისა, პრაქტიკაში უნდა დაინერგოს ევროპის სასამართლოს პრევენციული ეროვნული სასამართლოები ევროსასამართლოს პრაქტიკას, ან თუნდაც ადვოკატის შუამდგომლობას გაითვალისწინებენ და დამცინავად არ შეხედავენ მას, როდესაც საერთაშორისო პრაქტიკაზე მიუთითებს, რა თქმა უნდა, შემცირდება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოში გაგზავნილი საჩივრების რაოდენობა და ქვეყნის შიგნით მოქმედ სასამართლოს მეტი ეფექტი ექნება,” - აცხადებენ იურისტები.

გარდა “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა”, სტრასბურგში გასაგზავნ საქმეებზე წლებია აქტიურად მუშაობს “კონსტიტუციის 42-ე მუხლი”. ორგანიზაციას ევროსასამართლოში ათეულობით განაცხადი აქვს გაგზავნილი. ორგანიზაციის თავმჯდომარე მანანა კობახიძის განცხადებით, მათ მიერ ევროსასამართლოში გაგზავნილია 40-მდე განაცხადი. მთავრულამდე გაიგზავნება 30 საქმე, სადაც 60-მდე დაზარალებულია წარმოდგენილი. საუბარია, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებულთა შიგნით, მანანა კობახიძის ინფორმაციით, მათ მიერ გაგზავნილ განაცხადთა უმეტესობა

სტრასბურგის სასამართლოში განხილვის სტადიაზეა და უახლოეს პერიოდში გადაწყვეტილებასაც ელანს. ამჟამად არსებული ინფორმაციით, ევროსასამართლომ ორგანიზაციის ცხრა განაცხადზე დაზარალებულთა სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა და სახელმწიფოს სოლიდური ჯარიმაც დააკისრა.

ორგანიზაცია “ადამიანის უფლებათა ცენტრის” ინფორმაციით, 2009 წელს ევროსასამართლოში ორი განაცხადი უკვე გაიგზავნა.

ერთია “ალიევი საქართველოს წინააღმდეგ”, რომლითაც აბდულჰამით ალიევი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლის (არადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აქტად) დარღვევისთვის - თბილისის N 5 საპყრობილეში პატიმრობის ცუდი პირობებისა და სასტიკი მოპყრობისთვის ჩივის. მეორე საქმეშია კი, რომლის სახელწოდებაც “გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ”, გიორგი ნიკოლაიშვილი მისი უკანონო დაკავებისა და ფოტოსურათების პოლიციის განყოფილებაში გამოკვრის გამო ჩივის. მისი საჩივარი ეფუძნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლის 1,3 და 4 მუხლებს (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-8 მუხლს (პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება).

## საჯარიმო რეესტრის ვებგვერდით 221 000-მდე მომხმარებელმა ისარგებლა

საჯარიმო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდი, განახლებული დიზაინით, 2008 წლის აპრილის თვიდან ფუნქციონირებს. 2008 აპრილის თვიდან წლის ბოლომდე ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობამ 221 000 მიაღწია. ვებგვერდისადმი დაინტერესებულ მომხმარებლებს საზღვარგარეთის ქვეყნიდანაც იჩენენ. მაგ. ამერიკის შეერთებული შტატებიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ისრაელიდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, სერბეთიდან, კვიპროსიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, დანიიდან, ნოვრეგიადან.

საჯარიმო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე მუდმივად ვრცელდება ინფორმაცია იმ პროცედურების შესახებ, რომელიც უძრავი ქონების რეგისტრაციის განხორციელების მიზნით უძრავი ქონების რეგისტრაციის სა-მსახურებთან ურთიერთობისას უნდა გაიაროს. ვებგვერდზე განთავსებულია ელექტრონული პროგრამების ბმულები, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეუძლიათ ელექტრონულად შემოიტანოს განაცხადები და მიიღოს ამონაწერი, საკადასტრო რუკა, ცნობა ყადაღისა თუ საგადასახადო გირავნობის შესახებ, თუ ცნობა ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან. მომსახურების საფასურის გადახდაც ელექტრონულად, ვებ-გადახდის სისტემით არის შესაძლებელი.

## დაავადებული პაციენტები სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს

გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რუსთავის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა თამაზ ბ-მ სახალხო დამცველს განაცხადებით მიმართა.

როგორც სახალხო დამცველისთვის გახდა ცნობილი, მსჯავრდებულ თამაზ ბ-ს 2008 წლის 14 და 23 ივლისს გამოკვლევები ჩატარდა და ინფილტრაციის ფაზაში მარცხენა ფილტვის კეროვანი ტუბერკულოზი დაუდგინდა. მსჯავრდებული ტუბერკულოზში მკურნალობის ჩასატარებლად გადაიყვანეს. ტუბერკულოზში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე ავადმყოფს ტუბერკულოზი არ აღმოაჩნდა და კვლავ რუსთავის N2 დაწესებულებაში დააბრუნეს.

იმ დროისთვის მსჯავრდებული პერიოდულ სისხლდენას ფილტვიდან, ძლიერ სისუსტეს, ოფლიანობას, წონაში დაკლებას უჩიოდა. კლინიკური, სუბიექტური და ობიექტური მონაცემებით, საეპიდემიოლოგიური, ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია კვლავ უნდა ყოფილიყო.

სახალხო დამცველმა რუსთავის N2 დაწესებულების ხელმძღვანელობას თამაზ ბ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით რამდენიმე მიმართა. შედეგად, მსჯავრდებული ჩართეს “დოტს“-ის პროგრამაში და 11 დეკემბერს ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

მედიაინუსი

## პატიმრების ინტერესების დაცვას ითხოვენ

„ლეიბორისტები“ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების მდგომარეობას აპროტესტებენ. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „ლეიბორისტული პარტიის“ წევრმა ლეილა გაფრინდაშვილმა განაცხადა, საქართველოს ციხეებში პატიმრებზე ფიზიკური ანგარიშსწორება მიმდინარეობს.

“მიუხედავად იმისა, რომ უმნიშვნესმა თავის მიმართ ვაშა განსაკუთრებული ყურადღება პატიმრების მდგომარეობაზე გაამახვილა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების მიმართ კვლავ ფიზიკური ანგარიშსწორება მიმდინარეობს. დღეისთვის საპატიმროები საკონცენტრაციო ბანაკად არის ქცეული და პატიმრების მდგომარეობის დაწესებულებების თანამშრომლების მხრიდან პატიმრებზე სამინელი ფიზიკური ზეწოლა ხდება. ხშირ შემთხვევაში, პატიმრები ცემის დროს ელუპებთ, ოჯახის წევრებს კი აშინტაფებენ და ტერორის გზით მათ გააფრთხილებს ცდილობენ. გარდა ამისა, ციხეებში საშინლად არაპროფესიული მდგომარეობა, პატიმრებს კვირებისა და ხშირად თვეების განმავლობაში დაბანის საშუალება არ აქვთ,” - განაცხადა ლეილა გაფრინდაშვილმა, რომელიც ირწმუნება, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების 60-70 პროცენტი სასჯელს უდანაშაულოდ იხდის. მისივე თქმით, ლეიბორისტები საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პატიმრების მიმართ ძალადობის დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ მოუწოდებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი პარლამენტისა და პრეზიდენტის რეზიდენციის წინ ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს გამართავენ.

“მივმართავ ხელისუფლებას, შეწყვიტოს პატიმრებზე ძალადობა და მათი ღირსების შემლახველი ქმედებები. გათავისუფლდნენ სამსახურებიდან ის ჯალათები, რომლებიც პატიმრების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევიან და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას.” - ასეთია ლეიბორისტების პოზიცია.

მედიაინუსი

## კიევი საქართველოს მოქალაქე დააკავეს

უკრაინის შსს-ს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა კიევი ინტერპოლის მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

დაკავებული საქართველოს შსს-ს მიერ 2008 წლის ოქტომბრიდან იძებნებოდა. 2008 წლის ოქტომბერში მან ბათუმის ერთ-ერთ რესტორანში ორი ადამიანი დაჭრა და მიმალა. ეჭვმიტანილზე საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული. საქართველოს მოქალაქე სოლომონისკის რაიონში დააკავეს, სადაც ის ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. თუ დაკავებულს უკრაინის ტერიტორიაზე რამე სახის დანაშაული ჩადენილი არ აქვს, მისი ექსტრადიცია საქართველოში მოხდება.

მედიაინუსი

# გალსი ქართული პასპორტების გამო სჯიან

აფხაზი სეპარატისტების მიერ გალის რაიონის მოსახლეობაზე ზეწოლა გრძელდება. გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში აფხაზეთის სეპარატისტულმა რეჟიმმა იძულებითი პასპორტიზაციის ახალი ეტაპი დაიწყო. ვისაც აფხაზური პასპორტი არ აქვს, მათზე

სერიოზული ფინანსური ზეწოლა ხორციელდება. როგორც გალის რაიონის ქართული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პაატა შამუგიაშვილმა განაცხადა, სეპარატისტები გალის რაიონის მოსახლეობისთვის გადასახადების მომატებას აპირებენ და გაზრდილი გადასახადები

მხოლოდ ქართული პასპორტის მქონე პირებზე გავრცელდება.

“როცა ბავშვი სკოლაში მიდის, მშობლებს უმონებენ აფხაზური პასპორტი აქვთ თუ არა. თუ საქართველოს მოქალაქეები არიან, მაშინ ამ ბავშვს ყველანაირი სამედიცინო მომსახურებას და სხვა სახის დახ-

მარებებს უუქმებენ. მოსახლეობის რაღაც ნაწილმა სეპარატისტების მრავალმხრივ ზეწოლას ვერ გაუძლო და აფხაზური პასპორტები აიღო, თუმცა უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეობას ინარჩუნებს,” - ამბობს პაატა შამუგია.

მედიაინუსი

### სოციალური სუბსიდიების სააგენტოს თანამშრომელი დააკავეს

სოციალური სუბსიდიების სააგენტოს კახეთის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის კონტროლის ჯგუფის აგენტის კახაბერ შათირიშვილის მიმართ სამსახურებრივი სიყალბის ფაქტზე კახეთის საოლქო პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრში აცხადებენ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ინფორმაციით, სოციალურმა კახაბერ შათირიშვილმა სოციალური დახმარების მაძიებელი გივი ქრისტესიაშვილის საქმეში ოჯახის წევრთა ხელმოწერები გააყალბა. ამ და სხვა დარღვევებმა ქრისტესიაშვილების ოჯახისთვის მალალი სარეიტინგო ქულის მინიჭება გამოიწვია. სოციალური სუბსიდიების სააგენტოს კახეთის საკოორდინაციო ცენტრში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნაში მოცემულ საკითხებს არ ეთანხმებიან და მას არაპროფესიონალურს უწოდებენ.

პირველი

### ოპოზიციური პარტიები მალვა რამიშვილის გათავისუფლებას ითხოვენ

15 ოპოზიციური პარტია სასჯელალსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიისგან ითხოვს, ტელეკომპანია „202“-ის თანადამფუძნებლის მალვა რამიშვილის საკითხი განიხილოს და ობიექტური ხელისშემშლელი მიზეზების არარსებობის შემთხვევაში რამიშვილის პირობით ვადამდელი გათავისუფლების შუამდგომლობა დააკმაყოფილოს.

მალვა რამიშვილი კომისიას, პირობით-ვადამდელი გათავისუფლების შესახებ, განცხადებით უკვე მეორედ 2008 წლის 23 დეკემბერს მიმართა, თუმცა უშედეგოდ.

პირველად კი სასჯელალსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიას 2008 წლის ზაფხულში მიმართა, ვადამდელი გათავისუფლების შესახებ.

მალვა რამიშვილი 2005 წლის 27 აგვისტოს დააკავეს, პარლამენტარ კობა ბეჟაურისთვის ფულის გამოძალვის ბრალდებით. სასამართლომ რამიშვილს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მედიანუსი

### ნიკოლოზ II-ის და მისი ოჯახის დახვრეტის საქმის გამოძიება შეწყდა

რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებულმა საგამოძიებო კომიტეტის სამმართველომ 1918 წლის 17 ივლისს ეკატერინბურგში დახვრეტილ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის, ასევე მისი ოჯახის წევრთა, ოჯახთან დაახლოებულ პირთა დახვრეტისა და დაკრძალვის საქმის გამოძიება შეწყვიტა. ამის მიზეზად სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენების ხანდაზმულობა იქცა.

რუსეთის პროკურატურის განცხადებით, კანონის თანახმად, აღნიშნული საქმის ხანდაზმულობის ან პირთა გარდაცვალების გამო, შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმის აღძვრა პირების მიმართ, რომლებმაც მკვლელობა გამიზნულად ჩაიდინეს.

აღნიშნული სისხლის სამართლებრივი საქმის გამო ჩატარებულია მრავალი სახის ანთროპოლოგიური, გენეტიკური, სასამართლო-სამედიცინო და ისტორიული გამოკვლევა, რომლებმაც დადასტურეს, რომ ნაპოვნი ნარჩენები სწორედ რუსეთის იმპერატორსა და მის ოჯახის წევრებს ეკუთვნის.

ასევე გამოძიებით დადგენილია, რომ სამეფო ოჯახის დახვრეტის შესახებ განკარგულება ურალის საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო.

ვი-ეიზ-ენი

### ქალებმა ერთმანეთს სხეულის დაზიანებები მიაყენეს

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, 14 იანვარს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნოდარ კოჭლამაზაშვილის სამუშაო ოთახში ქალბატონებს შორის ჩხუბი მოხდა.

თვითმხილველთა ცნობით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტსა და სიღნაღში მდებარე ერთ-ერთი ბანკის თანამშრომელს შორის თავდაპირველად დაწყებული სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ქალბატონები ერთმანეთს დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში უშვერი სიტყვებით აგინებდნენ, გამგებელი კი მათ დაწყნარებას უშედეგოდ ცდილობდა. თვითმხილველების თქმით, ქალბატონებმა გამგებლის სამუშაო ოთახი დაახლოებით 5 საათისთვის დატოვეს, გარეთ გამოსულებს კი ტანსაცმელი სულ დახეული ჰქონდათ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრისთვის ორივე ქალბატონის ვინაობა ცნობილია. არც ერთი მათგანი მომხდართან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს. ერთ-ერთი მათგანი კი, დღეს ავადმყოფობის გამო, სამსახურშიც არ გამოცხადდა. ცემის შედეგად, ქალბატონებმა სხეულის დაზიანებები მიიღეს.

არაერთი მცდელობის მიუხედავად კახეთის საინფორმაციო ცენტრი სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელს ნოდარ კოჭლამაზაშვილს ვერ დაუკავშირდა. მთელი დღის განმავლობაში, მას მობილური ტელეფონი - ნომრით 899 100896 გამოერთული ჰქონდა. ინციდენტს სიღნაღის გამგებობის პრესამსახურის უფროსი ეკა გულიაშვილი არც უარყოფს და არც ადასტურებს. „ამის შესახებ არაფერი ვიცი,“ - განაცხადა მან.

მედიანუსი

# სამედიცინო კრიზისი რუსეთის სიხეივანში

რუსეთის ფედერაციაში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სადაც 950 ათას პატიმრამდეა, სხვადასხვა ავადმყოფობით დაავადებული 795 ათასი ადამიანი იხდის სასჯელს. როგორც რუსეთის ფედერაციის სასჯელალსრულების დეპარტამენტის სამედიცინო სამმართველოს უფროსის მოადგილე ალა კუზნეცოვა აცხადებს, ავადმყოფ პატიმართაგან 340 ათასს მძიმე დაავადება აქვს. დაახლოებით 25 ათასამდე პატიმარი სხვადასხვა ჯგუფის ინვალიდია. გარდა ამისა, 150 ათასი მათგანი ნარკომანიით და სხვადასხვა სახის ფსიქიკური აშლილობით არის დაავადებული.



რუსეთში 950 ათას პატიმრიდან 795 ათასი დაავადებულია.

მოადგილე ამბობს, რუსული ციხე ტუბერკულოზისა და სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადებების კერაა. რაც მთავარია, არის იმის საშიშროება, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან ტუბერკულოზის ეპიდემია რუსეთის მთელ მოსახლეობაში გავრცელდეს.

ალა კუზნეცოვას განცხადებით, გარდა იმისა, რომ ციხეში მყოფი ჯანმრთელი პატიმრებიც ავადდებიან ტუბერკულოზით, ხშირია შემთხვევები, როცა იქ მოხვედრამდე სასჯელალსრულების სისტემის დაწესებულებებში მოთავსებული ადამიანების უმრავლესობამ არც კი იცოდა, რომ ტუბერკულოზის მსუბუქი ნიშნებით იყო დაავადებული. ციხეში მოხვედრილებს კი ეს დაავადება უფრო ურთულდებათ და უკიდურეს ფორმებს იღებს.

როგორც სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარის

ოლოგიური სიტუაციის გამოსწორებას და სტაბილიზებას მხოლოდ ექიმების ნარმატიულ მუშაობაში ხედავენ. რუსეთის სასჯელალსრულების სისტემის ნარმომადგენელი ტუბერკულოზის გავრცელების მთავარ პრობლემად მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ამ ავადმყოფობით დაავადებული ადამიანები, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებენ მკურნალობას. საქმე ისაა, რომ ჯერჯერობით არ არსებობს კანონი, რომლის თანახმადაც, ყოფილი მსჯავრდებულის სოციალური რეაბილიტაცია იქნება შესაძლებელი. რაც ყველაზე მთავარია, ტუბერკულოზის მსუბუქი ნიშნებით იყო დაავადებული. ციხეში მოხვედრილებს კი ეს დაავადება უფრო ურთულდებათ და უკიდურეს ფორმებს იღებს.

როგორც სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარის

## „დონეცკელი მანიაკი“

# სამართალდამცველი აღმოჩნდა

ხანგრძლივი და აქტიური ძებნის შემდეგ, უკრაინელმა სამართალდამცველებმა „დონეცკელი მანიაკის“ კვალზე გასვლა შეძლეს. მართალია, ის ჯერ დაკავებული არ არის, თუმცა მისი ვინაობა სამართალდამცველებს უკვე დადგენილი აქვთ. „დონეცკელი მანიაკი“ მათი კოლეგა აღმოჩნდა.

როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, „დონეცკელი მანიაკის“ თავდასხმები წელიწადნახევრის წინ დაიწყო და ის მხოლოდ სკოლის მოსწავლეებს ესხმოდა თავს. როგორც გაირკვა, თავდამსხმელი მუდმივად შპრიცით იყო შეიარაღებული, რომელშიც დასაძინებელი ნივთიერება ჰქონდა მოთავსებული. შპრიცის ერთი ჩხვლევით ბავშვები ნელ-ნელა გონებას კარგავდნენ, ამასობაში კი, „დონეცკელი მანიაკს“ მსხვერპლი ახლო მდებარე სკვერში მიჰყავდა და აუპატიურებდა.

„მთელი 2008 წლის განმავლობაში, სამართალდამცველ ორგანოებს არასრულწლოვნებზე თავდამსხმელ მანიაკზე გაძლიერებული ძებნა გვექონდა გამოცხადებული. სამწუხაროდ, მისი მდებარეობა ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ, თუმცა მისი ვინაობის დადგენა შეეძლებოდა,



„დონეცკელი მანიაკის“ ფოტორობოტი სკოლებშიც გამოაქრეს.

ის ამჟამად მიმალვამია,“ – აცხადებს დონეცკის ოლქის მთავარი სამმართველოს უფროსი ნიკოლაი კუპინსკი.

„დონეცკელი მანიაკის“ არსებობის შესახებ ინფორმაცია ოლქის მილიციამ ჯერ კიდევ 2008 წლის დასაწყისში გაავრცელა. მილიცია მშობლებს და მასწავლებლებს აფრთხილებდა, ბავშვების მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინათ, რადგან სკოლების ტერიტორიაზე პერიოდულად უცნობი მამაკაცი ჩნდებოდა, რომელიც დახალი კლასის მოსწავლეებს თავს ესხმოდა. მილიციის ინფორმაციით, უცნობი მამაკაცი ჯერ

მსხვერპლს ამოარჩევდა, შემდეგ კი მოტყუებით ან ძალით თავის ავტომანქანაში სვამდა, სადაც შპრიცით დასაძინებულ ინექციას უკეთებდა. იმ ნივთიერების სახელწოდებაც დადგენილია, რომელსაც „დონეცკელი მანიაკი“ იყენებდა. სამართალდამცველებს განცხადებით, მისი სახელწოდებაა „კალიპსოლი.“ ის აფთიაქებში მხოლოდ სპეციალური რეცეპტის საშუალებით გაიცემა. „კალიპსოლს“ საავადმყოფოებში, ოპერაციების ჩატარებისას, ანესთეზიის საშუალებად იყენებენ. ამ პრეპარატს ვეტერინარებიც ცხოველების დასაძინებლად გამოიყენებენ.

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თქმით, ბოლო ათი წლის განმავლობაში მძიმედ დაავადებული პატიმრების რიცხვი კატასტროფულად გაიზარდა.

„მახსოვს ისეთი წელიწადი, როდესაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მხოლოდ შვიდი მძიმედ დაავადებული პატიმარი იმყოფებოდა, ახლა კი ეს რიცხვი 48 ათასამდე ავიდა, რაც მთელი რუსეთის ფედერაციაში დარეგისტრირებული მძიმე დაავადებების მქონე მოსახლეობის 11 პროცენტია,“ – აცხადებს ალა კუზნეცოვა. ის მძიმე ავადმყოფობით დაავადებული პატიმრის, „იუკოსის“ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტ ვასილი ალექსანანის მდგომარეობასაც შეეხო. ალა კუზნეცოვას თქმით, „იუკოსის“ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტს ყველანაირი პირობა აქვს, რომ საჭირო მედიკამენტები მიიღოს. თუმცა, მას გაუჭირდა კითხვაზე პასუხი გაეცა, როგორ მიმდინარეობს ალექსანანის მკურნალობა და როგორია მისი ამჟამინდელი მდგომარეობა.

„ჩვენ არ ვიცით, მკურნალობდა თუ არა ის ჩვენთან მოხვედრამდე და მანამდე იცოდა თუ არა, რომ მძიმე დაავადება ჰქონდა, მაგრამ როგორც კი გამოვავლინეთ მისი ავადმყოფობა, ყველა პირობა შევუქმენით მკურნალობისთვის,“ – განუცხადა ჟურნალისტებს ალა კუზნეცოვამ. მისივე განმარტებით, ალექსანანის ერთ-ერთ საავადმყოფოშია მოთავსებული. მას ლიმფური სისტემის კიბო აღმოუჩინეს.

# „ტერორთან ომი“ შეცდომა იყო

დავით მილიჩანდი  
„გარდიანი“  
15 იანვარი, 2009 წელი

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დევიდ მილიჩანდი მსოფლიოს ანტიტერორისტული სტრატეგიის გადახედვისკენ მოუწოდებს, ხოლო ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიერ დამკვიდრებულ იდეას – „ტერორთან ომი“ – შეცდომად მიიჩნევს. მილიჩანდის აზრით, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ტერორიზმთან შეიარაღებული ბრძოლის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი გამარჯვებას ვერ უზრუნველყოფს. საგარეო საქმეთა მინისტრი მიიჩნევს, რომ ამ ბრძოლაში იარაღზე ძლიერი საშუალება იდეოლოგიური ლოზუნგებისა და ტერორისტების მოწოდებების მხილება და კანონის უზენაესობა გახლავთ. ვთავაზობთ 15 იანვარს დევიდ მილიჩანდის მიერ „გარდიანი“ გამოქვეყნებულ სტატიას.



შვიდი კვირის წინათ განხორციელებული მუშაის ტერაქტების „დარტყმითი ტალღა“ მთელ მსოფლიოს მოედო. დღეს მთელი ყურადღება ახლო აღმოსავლეთისკენ არის მიმართული, სადაც „ჰამასის“ სარაკეტო დარტყმებზე ისრაელის პასუხმა – მრისხანე სამხედრო ოპერაციამ – ღაზაში ათასზე მეტი პალესტინელის სიცოცხლე შეინირა.

11 სექტემბრიდან 7 წლის შემდეგ, აშკარა გახდა, რომ ჩვენ ფუნდამენტურად უნდა შევისწავლოთ ჩვენი ძალისხმევა ექსტრემიზმთან და მის საშინელ პირმშოსთან – ტერორიზმთან ბრძოლაში. 11 სექტემბრის შემდეგ, აშშ-ში ცნება „ტერორთან ომი“ საბრძოლო ქმედებების დასაწყებად განმსაზღვრელი გახდა. აღნიშნულ ფორმულირებას თავისი პლუსები აქვს: ის ასახავდა საფრთხეების მთელ სერიოზულობას, სოლიდარობის საჭიროებას და გადაუდებელ საპასუხო ზომებს – სადაც საჭირო გახდებოდა, ძალის გამოყენებითაც კი. თუმცა, საბოლოო ჯამში, ის მცდარი და შეცდომაში შეყვავარა. პრობლემა ის კი არ არის, უნდა შევუტოთ თუ არა ფესვებშივე ტერორიზმს ყველა შესაძლო საშუალებით. რა თქმა უნდა, უნდა შევუტოთ. საკითხავია – როგორ?

„ტერორთან ომის“ იდეა ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ჩვენ ვებრძვიტ ტრანსნაციონალურ მასშტაბის ერთიან მტერს, რომლის სიმბოლოებიც უსამა ბინ-ლადენი და „ალ ქაიდა“ გახდნენ. სინამდვილეში, ტერორისტული დაჯგუფებები და მათი მოტივაციები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. „ლაშქარი-თაიბას“ პაკისტანური ფესვები გააჩნია და ირწმუნება, რომ მისი მთავარი საზრუნავი ქაშმირი გახლავთ. „ჰეზბოლა“ თავის

თავს წინააღმდეგობის მოძრაობას უწოდებს, რომელიც გოლანის მალეობების ოკუპაციის წინააღმდეგ იბრძვის. ერაყის შიიტური და სუნიტური დაჯგუფებები უამრავ განსხვავებულ მოთხოვნას აყენებენ. ყველა ეს ორგანიზაცია ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც 70-იანი წლების ევროპული მოძრაობები – „ირა“, „ბადერ-მაინჰოფი“ და „ეტა“. ყველა მათგანი იყენებდა ტერორისტულ მეთოდებს და ზოგჯერ ეხმარებოდნენ კიდევ ერთმანეთს, მაგრამ მათ სხვადასხვა მიზნები ჰქონდათ და თანამშრომლობაც კონკრეტულ სიტუაციებში ატარებდა. იგივეს მოწმენი ვართ დღესაც.

რაც უფრო მეტად ვხარშავთ ერთ ქვაბში ტერორისტულ დაჯგუფებებს და ფონტის ხაზსაც, უბრალოდ, ზომიერებას და ექსტრემისტებს ან „სიკეთესა და ბოროტებას“ შორის ბრძოლაზე ვაკლებთ, მით უფრო მეტად ვუნყოფთ ხელს მათ, ვინც იმ დაჯგუფების გაერთიანებას ცდილობს, რომელთაც ძალზე ცოტა აქვთ საერთო. ტერორისტულ დაჯგუფებებთან ბრძოლისთვის მათი ფესვების ამოძრკვა საჭიროა, რაც მათთვის იარაღისა და დაფინანსების არხების გადაკეტვას, მათი განცხადებების უშინაარსობაში მხილებას და მათი მომხრეების დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას ითვალისწინებს.

„ტერორთან ომი“ ასევე გულისხმობდა, რომ საპასუხო ქმედებები, პირველ ყოვლისა,

აუცილებლად სამხედრო ხასიათის უნდა ყოფილიყო. თუმცა, როგორც გენერალმა პეტრუსმა ერაყში მე და სხვა დანარჩენებს ვვითხრა, კოალიციურ ძალებს ამბოხებასთან და სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებული პრობლემების „ცეცხლითა და მახვილით“ მოგვარება არ ძალუძო.

სწორედ ეს განასხვავებს ღაზას სექტორში მიმდინარე სამხედრო ოპერაციის მხარდამჭერებსა და მოწინააღმდეგეებს. ანალოგიური კითხვები ჩნდება იმაზე მსჯელობისას, თუ როგორ უნდა ყოფილიყო რეაქცია მუშაის ტერაქტებზე. ამ დანაშაულზე პასუხისმგებელი პირები კანონის წინაშე უნდა წარდგნენ, ხოლო პაკისტანის ხელისუფლებამ და უყოვენებლივ უნდა მიიღოს ეფექტური ზომები თავის ტერიტორიაზე ტერორისტული სტრუქტურების აღსაკვეთად. თუმცა, მიმდინარე კვირაში სამხრეთ აზიაში ვიზიტის მსვლელობისას, შევეცდები, დავამტკიცო, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ტერორისტული საფრთხისგან საუკეთესო „შხამსანინააღმდეგო“ საშუალება თანამშრომლობა გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ კარგად მესმის არსებული სირთულეები, ქაშმირის პრობლემის მოგვარებით რეგიონში მყოფი ექსტრემისტები უთუ-უ და არჩებოდნენ თავიანთი მთავარი ლოზუნგის გარეშე, პაკისტანის ხელისუფლებას კი საშუალება მიეცემოდა, უფრო ეფექტურად გამკლავებოდა

საფრთხეებს მის დასავლეთ საზღვარზე.

ტერორიზმის წინააღმდეგ ჩვენი პასუხი უნდა იყოს კანონის უზენაესობის დაცვა და არა სხვა საკითხებზე მისი დაქვემდებარება, რადგან კანონის უზენაესობა დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი გახლავთ. ჩვენ უნდა დავიცვათ ადამიანის უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები როგორც ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. სწორედ ამგვარი ვაკვეთილი უნდა ვისწავლოთ გუანტანამოს ციხესთან დაკავშირებული ისტორიიდან და სწორედ ამიტომ მივესალმებით მისი დახურვის შესახებ პრეზიდენტ ობამას დანაპირებს.

მოწოდება „ტერორთან ომისკენ“ გახლდათ მოწოდება იარაღისკენ, მცდელობა სოლიდარობის შექმნისა ერთი საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა, ერებსა და ქვეყნებს შორის სოლიდარობა უნდა ემყარებოდეს არა იმას, ვის წინააღმდეგ ვიბრძვით, არამედ წარმოდგენას იმისა, როგორები ვართ თავად ჩვენ და რა ფასეულობები გვაერთიანებს. ტერორისტები წარმატებას აღწევენ, როდესაც მსოფლიოში შიშსა და შურისძიებას, განხეთქილებასა და შუღლს თესენ, როდესაც ქვეყნებს აიძულებენ, რომ მათ ქმედებებს ძალადობითა და რეპრესიებით უპასუხონ. თუმცა, საუკეთესო პასუხია, არ მივცეთ მათ დაშინების საშუალება.

## რიგაში არეულობების შედეგად მიყენებული ზარალი დაითვალეს

რიგაში 13 იანვრის ღამეს მომხდარი არეულობების შედეგად ქალაქს 94 ათასი დოლარის ზარალი მიადგა. ზარალის მეტი წილი პოლიციის ტრანსპორტზე მოდის (ცნობისთვის, არეულობის მონაწილეები თავდაპირველად პოლიციის მანქანებს ამსხვრევდნენ).

გარდა ამისა, მწყობრიდან არის გამოსული საგზაო ნიშნები და პარლამენტის წინ ტროტუარი. აქციის მონაწილეებმა ლატვიის პარლამენტის შენობას ფასადი შეუღახეს და მინები ჩაუშხვრიეს, ეს კი 35 ათას დოლარამდე დაჯდება. ფინანსთა სამინისტროს შენობის ზიანი კი 18 ათას დოლარად შეფასდა.

არეულობების დროს ასევე დაარბიეს რამდენიმე მაღაზია, რომელთა ზიანის ოდენობა ჯერ დათვლილი არ არის.

მედიაინუსი

## ისრაელმა ღაზას ტერიტორიაზე ნახევარ 70 ობიექტს შეუტია

15 იანვრის დილას ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ღაზას ტერიტორიაზე 70 სამიზნეზე მიიტანეს იერიში. საჰაერო და სახმელეთო ჯარებს საზღვაო ძალებიდანაც ჰქონდა მხარდაჭერა.

ღამის ოპერაციისას, რომელშიც 35 პალესტინელი მებრძოლი მონაწილეობდა, ცაშალის 11 ჯარისკაცი დაიჭრა, პალესტინელთაგან კი ათეულობით დაღუპულია. 15 იანვარს, გამთენიისას ღაზას მხრიდან ისრაელის ტერიტორიებზე სარაკეტო დარტყმები განახლდა. ყასამის ტიპის სულ 12 რაკეტა იქნა გატყორცნილი. წინასწარი მონაცემებით, მსხვერპლი და ნგრევა არ არის.

მედიაინუსი

## ვენესუელამ ისრაელთან დიპლომატიური კავშირი განწყვიტა

ვენესუელამ ისრაელთან 15 იანვარს დიპლომატიური ურთიერთობები განწყვიტა ღაზას სექტორში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო. შესაბამისი გადაწყვეტილება ვენესუელის ტელეარხის ეთერით გადმოიცა.

ამ ნაბიჯის მიზეზად „ისრაელის ხელისუფლების მხრიდან პალესტინელი ხალხის სასტიკი დევნა“ დასახელდა. ოთხშაბათს ცნობილი გახდა, რომ ისრაელთან დიპლომატიური კავშირი ბოლივიამაც განწყვიტა. ქვეყნის პრეზიდენტმა ევო მორალესმა თავის გამოსვლაში ისრაელის ქმედებებს კაცობრიობის წინააღმდეგ „სასტიკი დანაშაული“ უწოდა.

ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ისრაელის ხელისუფლება მკაცრად გააკრიტიკა და 6 იანვარს ისრაელის ელჩი შლომო კოენი ქვეყნიდან გაიწვია.

მედიაინუსი

## ბოსნიის პოლიციამ სერბეთის არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურე დააკავა

ბოსნიის პოლიციამ სერბეთის არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურე დააკავა, რომელსაც 1990-ან წლებში სამხედრო დანაშაულებების ჩადენა ედება ბრალად. 64 წლის პერკოვიცა ქალაქ როგატიცაში აიყვანეს, სადაც იგი 1992 წელს, გამოძიების ვერსიით, მუსლიმანური მოსახლეობის დევნაში იღებდა მონაწილეობას. დეტალები არ ქვეყნდება.

1992-1995 წლებში, ბოსნიის ომის დაწყებამდე, როგატიცაში მუსლიმანები მოსახლეობის 60 პროცენტს შეადგენდნენ. სასამართლოს შემთხვევაში პერკოვიცის საქმე ბოსნია ჰერცეგოვინის სამხედრო სასამართლოს გადაეცემა, რომელიც 2005 წელს შეიქმნა და იუგოსლავიაში მსგავსი სახის დანაშაულებრივი საქმეების განსახილველად არის მოწოდებული.

მედიაინუსი

## საფრანგეთში ორი სინაგოგა შეურაცხვეს

საფრანგეთში ბოლო ორი დღის განმავლობაში ორი სინაგოგა შეურაცხვეს, - გადმოსცემს სააგენტო „ასოშიეტივ პრესი“ საფრანგეთში ებრაული ორგანიზაციების საბჭოზე დაყრდნობით.

ლილში, საფრანგეთის ჩრდილოეთით, ვანდალებმა სინაგოგის კედლები სვასტიკებით მოხატეს და მინები ჩაამსხვრიეს. ქვეყნის აღმოსავლეთით, მულიუზში სამოდელო სახლი ანტიებრაული ლოზუნგებით ააჭრელეს - „გაუმარჯოს პალესტინას“, „სიკვდილი ისრაელს“, ასევე უცენზურო ვარიანტი გამონათქვამისა „ჯანდაბას საფრანგეთი“, თანაც ორთოგრაფიული შეცდომებით. ასოების სიმალზე 80 სანტიმეტრამდე იყო. გამოძიებას იმედი აქვს, რომ სამართალდამცველებს დანაშაულებების პოვნაში შენობებზე დაყენებული ვიდეოკამერები დაეხმარება.

მედიაინუსი



HP გირჩევთ Windows Vista® Business-ს.



ჩვენ არ ვცდით  
თქვენს მოთხოვნებს.  
ჩვენ საკუთარ თავს ვცდით,



95000 საათის  
განმავლობაში.

HP Compaq 6735b, HP DuraFinish და HP 3D DriveGuard-სთან ერთად.

მან 95000 საათიანი მკაცრი შემოწმება გაიარა, შექმნილია იმისთვის რომ გაძლოს, მაგრამ ეს ყველაფერი როდია HP 3D DriveGuard აღიქვამს ნებისმიერ უეცარ მოქმედებას და ინახავს მნიშვნელოვან მონაცემებს, რომ არაფერი დაზიანდეს. მაგნიუმის შენადნობის შემცველი სტრუქტურა უზრუნველყოფს დიდ სიმტკიცესა და სტაბილურობას. HP DuraFinish გარედან დაფარულია გარსით, რომელიც არ იკაწრება. ყოველივე ეს სრულად უზრუნველყოფს თქვენი ბიზნესის დაცვას საუკეთესო მობილურობისთვის. HP Compaq 6735b აღჭურვილია AMD Turion™ X2 Ultra Dual-Care Mobile Processor ორმაგბირთვიანი პროცესორით.

- AMD Turion™ X2 Ultra Dual-Care Mobile Processor
- Genuine Windows Vista® business
- ნაწილების გამძლეობისა და მუშაობის 1-წლიანი გარანტია



დაიცავით თქვენი ბიზნესი გაზარდეთ გარანტია კიდევ 3 წლით.  
HP Care Pack მომსახურების პაკეტის გამოყენებით

კომპიუტერი  
კვლავ  
პერსონალური



სერთიფიცირებულია

[hp.com/ge](http://hp.com/ge)

© 2008 Hewlett-Packard Development Company, L.P. Microsoft and Windows are U.S. registered trademarks of Microsoft Corporation. Windows Vista is either a registered trademark or trademark of Microsoft Corporation in the United States and/or other countries. AMD, the AMD Arrow logo, AMD Turion and combinations thereof, are trademarks of Advanced Micro Devices, Inc. The information contained herein is subject to change without notice.

**კომენტარები მთავარზე**



# 2008 წელი

ლაშა ბლაძი

აი, ჩაიარეს შობებმა, ახალმა წლებმა, ბედობებმა, მოქმედი პატრიარქის აყსაყდრების დღეებმა, ძველ და ახალ წლებს შორის მოქცეულმა შუალედურმა საათებმა, პარლამენტის წევრების და ჩოხოსნების ალილოზე გამოსვლებმა და აჰა, როგორც იქნა, მოვალნიეთ იანვრის ბოლო ათ-დღეულთანაც! მართალია, წინ კიდევ ერთი ახალი წელი გველის (სექტემბერი! - და თუ რა-ნაირი ახალი წელია ეს, ამას, თქვენის ნებართვით, სხვა დროს ავხსნი), მაგრამ ორი ახალი წელი, ვფიქრობ, ასე თუ ისე, მაინც საკმარისია იმისათვის, რომ 2008 წელი გასულ წლად ჩათვალოს ადამიანმა (ბოდიშს ვუხდის სექტემბრის ახალი წლის მომლოდინეებს). ხოდა, რაკი 2009 წელი მოვიდა, ესე იგი, 2008 წლის ობიექტური შეფასებაც შეგვიძლია, არა? მოდი, მაშინ შევაფასოთ ეს 2008 წელი და ამ შეფასებებზე გამოვიყვანიდეთ.

უპირველესად, დავსვათ შეკითხვა: იყო თუ არა გასული წელი წარმატებული ჩვენი ქვეყნისთვის? იყო! რასაკვირველია, იყო... თუკი პირველ იანვარსა და ძველით ახალ წელს შორის მოქცეულ მცირე პერიოდს ვაკვირდებით. ეჰ, როგორ უყვარდა ცხოვრებულ ერეკლე მეორეს პოეტურ-ალმატებული ენით დაწერილი, მსუყე ხელშეკრულებები! რა იქნებოდა, ამ დღეს რომ მოსწრებოდა! ერეკლეს ჩალმა მაინც დაეხურა ჩვენს საგარეო მინისტრს თავზე, რა მოუვიდოდა, ასე მაინც ეცა პატივი პოეტური ტრაქტატების მოყვარული წინაპრისთვის...

წარმატებული იყო, აბა რა! ძველ და ახალ წლებს შორის მოქცეული ერთ-კვირიანი კი არა, მთელი წელი წარმატებული იყო!

ჩვენმა ჯარმა მინასთან გაასწორა რუსული არმია და ერთ დღეში ყველა ის ომი მოიგო, რომელიც კრწანისის ბრძოლის მერე წაგვიგია.

ჩემმა ქვეყანამ "შავ ოქროს" დაუფლო ფასი და სილატაკის პირას მიიყვანა რუსი მილიარდერები! ერთს წერილიც კი მიუწერია რუს-პრეზ. მედვედევის ცოლისთვის: "გალია, არ მინდა ცხინვალი, ჩემი ფული დამიბრუნონ!"

ჩემმა ქვეყანამ მსოფლიო ფინანსური კრიზისი გამოიწვია (ფაქტია, ეს კრიზისი რუსეთ-საქართველოს ომს მოჰყვა) და სერიოზული პრობლემები გაუჩინა ცარიელ ბანკომატთან მისულ რიგით სასოწარკვეთილ უცხოელს. ციტატა აშშ-პრეზ. ცოლისათვის მიწერილი წერილიდან: "ლორა, გვაპატიეთ, ახალი ბანკომატები ჩვენზე იყოს. პატივისცემით, ქართველი ჩოხოსნები."

ჩემმა ქვეყანამ შეარჩია სომეხი და თურქი მოსახლეობა! ჩვენ რომ არა, კაცმა არ იცის, ჩავიდოდა თუ არა ფეხბურთის საყურებლად ერევანში თურქ. პრეზიდენტი ა. გიულაიძე.

ჩემმა ქვეყანამ მოაშორა აშშ-ს მათივე ომების ვეტერანი ჯ. კინალამ ასე დაეწერე: ჯონ-მალხაზ) მაკკინი. იმისთანები ვათქმევინეთ ამ ღირსეულ მოხუცს, რომ ამერიკელებს გულეები დაუსკდათ, ჩვენც რუსეთთან ომში არ შეგვტყობს ამ ქართველების გამოო... დი-ახ, ჩვენ მოვიყვანეთ ხელისუფლებაში ბატონი ობამა! აგერ, ციტატა მისი ცოლისათვის გაგზავნილი მისალოცი ბარათიდან: "მიშელ, შეილო, კენიას აღარაფერი ეშველება ანი და ნუ დაუწყებთ წამდაუნუმ ხელეგბში ყურებას ზაიდენს - შენი ნაშოვნი ხომ არაა ის მილიარდი. მოგვცეს, რაც მოსაცემი აქვს. პატივისცემით, ქართველ პედაგოგოვთა სახელით,

მ. ლურჭულაძე." ასე რომ, მეგობრებო, წარმატებული წელი გვქონდა, წარმატებული და გამარჯვებით უხვი! ერთ რამეს ვისურვებ მხოლოდ 2009 წლისთვის: ნეტავ, წარუმატებელი და მარცხიანი წელი გვქონდეს, სხვას არაფერს ვითხოვ.

# Entropa ანუ ევროპული სკანდალი

ჩეხეთმა ხელიგანი მხატვრის გამო ბულგარეთს ბოდიში მოუხადა

ჩეხეთი ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა სულ რაღაც ორიოდ კვირის წინ გახდა და უკვე იქცა საერთაშორისო სკანდალის მიზეზად. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ბრიუსელში მდებარე ევროკავშირის შტაბბინის შენობაში ცნობილი ჩეხი მხატვრის დევიდ ჩერნის გამოფენა გაიხსნა, რომელმაც კავშირის წევრი ქვეყნები თავისებური ინტერპრეტაციით გამოხატა. მისი სკულპტორული ნამუშევარი წევრი ქვეყნების გეოგრაფიულ ფორმებს აერთიანებს, სკანდალის მიზეზი კი სწორედ მხატვრის არჩევანი გახდა.

დევიდ ჩერნის რვა ტონიანი სკულპტურა სახელწოდებით Entropa ჩეხეთის ევროკავშირის თავმჯდომარედ არჩევის გამო შეუკვეთეს. მანაც სამუშაო საკუთარი გემოვნებისა და დამოკიდებულების გათვალისწინებით შეასრულა და გაითვალისწინა ყველა ის სტერეოტიპი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ მსოფლიო საზოგადოებაში არსებობს. მაგალითად, ბულგარეთის რუკის კონტურის მქონე პლატფორმა ე.წ. თურქული საპირფარეოს ფიგურებითაა შესრულებული. ცხადია ბულგარეთის მოსახლეობა და მთავრობა ამ ფაქტმა ძალიან აღაშფოთა, რაც სავსებით რეალური რეაქციაა.

ამის გამო ჩეხეთის პრემიერ მინისტრმა, ალექსანდრე ვონდრამ ბულგარეთს ოფიციალური ბოდიში მოუხადა. მანამდე კი ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პასუხი ჩეხეთის ელჩს მოსთხოვა. არავინ იცის, რაზე ილაპარაკეს კაბინეტში განმარტოებულმა ბულგარელმა მინისტრმა და ჩეხმა ელჩმა, მაგრამ ფაქტია, რომ "ბულგარეთი" Entropa-დან უკვე მოხსნეს, ბულგარეთის მოსახლეობა კი დამშვიდდა.



ჯერჯერობით არაფერი ისმის სხვა ქვეყნების მთავრობებისგან, თუმცა ადგილი წარმოსადგენია, რომ დევიდ ჩერნის ნამუშევრით არც ისინი უნდა იყვნენ აღფრთოვანებული. მაგალითად, რუმინეთის რუკის კონტური გრაფ დრაკულას სახსლის სახითაა გამოსახული, პოლანდია მთლიანად წყლითაა დაფარული, ხოლო ზედაპირზე მხოლოდ მინარეთები მოჩანს. გაცილებით არ გაუფიქრებია გერმანიას, რომელსაც კიდევ ერთხელ შეახსენეს არც თუ შორე-

ული წარსული - მის რუკაზე ასობით ავტობანი ერთმანეთშია გადახლართული, რაც საბოლოოდ სტილიზებულ სვასტიკას ქმნის. კარგი დღე არც დანიას დაადა. მისი კონტური "ლეგოს" ფიგურებითაა აწყობილი, ხოლო კონსტრუქციის საბოლოო სახე წინასწარმეტყველ მუშაემდს გამოსახავს. ამით მხატვარმა კიდევ ერთხელ მიანიშნა იმ სკანდალზე, რომელიც დანია რამდენიმე თვის წინ გაეხება, როდესაც ადგილობრივ გაზეთებში მუშაემდის კა-

რიკატურები დაიბეჭდა, რასაც მუსლიმანური სამყაროს მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. დევიდ ჩერნის ნამუშევარი კიდევ ერთ უცნაურობას შეიცავს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი საერთოდ არსად ჩანს, ეს ალბათ იმის ნიშანია, რომ ეს სახელმწიფო ევროკავშირის მიმართ სკეპტიკურადაა განწყობილი.

ჩეხეთის მთავრობა კი თავს იმართლებს. მისი ოფიციალური განცხადების თანახმად, დევიდ ჩერნმა ყველა მოატყუა, რადგან სამუშაოს დაწყებამდე განაცხადა, რომ Entropa-ზე ევროკავშირის ყველა ქვეყნის წარმომადგენელ მხატვართან ერთად იმუშავებდა. მან პირობა არ შეასრულა, მოგვიანებით კი აღიარა, რომ სკულპტურაზე ორ მეგობარ მხატვართან ერთად მუშაობდა. "ვიცოდით, რომ სიმართლე ადრე თუ გვიან გამოვლავდებოდა, მაგრამ მუშაობა მაინც არ შეგვიწყვეტია - უბრალოდ გვიანტერესებდა, მზად იყო თუ არა ევროპა თვითორიონისთვის", - განაცხადა მხატვარმა.

დევიდ ჩერნი მსგავს სკანდალში პირველად არ გარეულა. მაგალითად, 2006 წელს ბელგიამ უარი განაცხადა მისი ნამუშევრის "სადამ ჰუსეინი როგორც ზეიგენის" გამოფენაზე. ქანდაგება წელსზევით მიშველ ჰუსეინს განასახიერებს, რომელსაც ხელბორკილები ადევს და წყლით სავსე ავზში ზის. 1990 წლების დასაწყისში კი ჩერნი ხულიგნობისთვის დააკაშირეს, რადგან ფაშისტებისგან პრალის განთავისუფლებისადმი მიძღვნილი მონუმენტის დეტალი - საბჭოთა ტანკი წითლად გადაღება.

...რა კარგია ევროკავშირის წევრი ქვეყანა რომ არ ვართ, თორემ ვინ იცის, რა თვალთშემოგვხედავდა ხელიგანი მხატვარი.

## BAFTA-მ ნომინანტები დაასახელა

ლონდონში ბრიტანეთის კინოსა და ტელევიზიის აკადემიამ პრემია BAFTA-ს ნომინანტები დაასახელა. როგორც მოსალოდნელი იყო, დენი ბოლის ფილმი "შემთხვევითი მილიონერი" ამჯერადაც ლიდერია და 11 ნომინაცია დაიმსახურა. ამდენივე ნომინაცია აქვს დევიდ ფინჩერის "ბენჯამინ ბატონის უცნაურ საქმეს", რომელიც რეჟისორმა სკოტ ფიცჯერალდის ნაწარმოების მიხედვით გადაიღო.

შეგახსენებთ, რომ ბოლის დრამამ რამდენიმე დღის წინ უკვე დაიმსახურა პრესტიჟული პრიზი - "ოქროს გლობუსი" საუკეთესო ფილმის ნომინაციაში. ასევე გაიმარჯვა დენი ბოილიმაც. "ბაფტას" საუკეთესო ფილმის ნომინაცია ასე გამოიყურება: "შემთხვევითი მილიონერი", "ბენჯამინ ბატონის უცნაური საქმე", "მილიკი", "მკითხველი" და "ფროსტი/ნიქსონი". ეს უკანასკნელი პოლიტიკური ხასიათის ფილმია და ცნობილი ჟურნალისტის დევიდ ფროსტის მიერ რიჩარდ ნი-

ქსონთან აღებულ ინტერვიუს პერიპეტეტიებზე მოგვითხრობს - ინტერვიუ კი "უოთერგეთის" ცნობილი საქმის დეტალებს შეეხება. "მილიკი" ასევე პოლიტიკური ხასიათისაა, თუმცა არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებზე მოგვითხრობს. ჰარვი მილიკი 70-იან წლებში მოღვაწე პოლიტიკოსი იყო, რომელმაც პირველად აღიარა, რომ ჰომოსექსუალი იყო, რისთვისაც ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია.

საუკეთესო რეჟისორების ნომინაციაში დენი ბოლის და დევიდ ფინჩერს კონკურენციას კლინტ ისტუუდი, რონ ჰოვარდი და სტივენ დალდრი გაუწევენ. ყველასთვის გასაკვირად საუკეთესო ანიმაციური ფილმის ნომინაციაში შარმანდელი საოცრება "პერსეპოლისი" გამოჩნდა. საქმე ისაა, რომ ეს ნამუშევარი შარმან უკვე იყო "ოსკარზე" წარდგენილი, თუმცა უშედეგოდ. ამჯერად მან ებრაულ "ვალსი ბაშირთან" და ამერიკულ "უოლ-ი-ს" უნდა აჯობოს.

ნამდვილი ბრძოლა გაიმართება მამაკაცის მთავარი როლის შემსრულებელთა ნომინაციაში. აქ ერთმანეთს ხუთი ძალიან კარგი როლის ავტორი დაუპირისპირდება: ფრენკ ლანჯელა რიჩარდ ნიქსონის როლის განსახიერებისთვის, შონ პენი, რომელმაც ჰომოსექსუალი მილიკი ბრწყინვალედ შეასრულა, ნლეგანდელი "ოქროს გლობუსის" მფლობელი მიკი რურკი ("რესლერი"), ბრედ პიტტი "ბებერი" ბენჯამინ ბატონის როლისთვის და სრულიად ახალბედა დევიდ პატელი - "შემთხვევითი მილიონერის" ვარსკვლავი. არანაკლებ საინტერესოა ქალის მთავარი როლის შემსრულებლის ნომინაციაც. საინტერესოა კი ისაა, რომ "ოქროს გლობუსის" ორგზის გამარჯვებული კეით უინსლეთი ნომინაციაში ორჯერ გვხვდება. მას კონკურენციას უწევენ მერლ სტრიპი, ანჯელინა ჯლი და კრისტინ სკოტ ტომასი.

მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელთა ნომინაციაში

საეგადანაწილდა: რობერტ დაუნი უმცროსი "ტროპიკული ციებ-ცხელება" (იგი ავსტრალიელ შვედნიანს უზადოდ თამაშობს), ბრენდონ გლისონი მეტად სევდიანი და ამავდროულად სასაცილო "ბრიუკედან", შეუდარებელი ფილიპ სეიმურ ჰოფმანი ("ეჭვი") და ბრედ პიტტი მემბი კონკურენციას ფილმიდან "ნაკითხისთანავე დანვით". "ეჭვის" კიდევ ერთი მსახიობი ემი ადამსი ქალის მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელთა ნომინაციაში მოხვდა. აქ მის გარდა არიან: პენელოპა კრუზი "ვიკი კრისტინა ბარსელონაში" გიუმბაუ ქალის თამაშისთვის, შარმანდელი "ოსკარის" მფლობელი ტილდა სუინტონი ("ნაკითხისთანავე დანვით"), ინდოელი ფრეიდა პინტო "შემთხვევითი მილიონერიდან" და მარისა ტომეი სტრიპიზის მოცეკვავის როლისთვის დარედ არანოვსკის "რესლერიში".

"ბაფტას" პრემიის გამარჯვებულთა ვინაობა 8 თებერვალს გახდება ცნობილი.

# გონის სპირენობა

## რამდენიმე მოსაზრება ლელა ნიფურიას ამავე სახელწოდების ფილმის გარშემო

ირინა დამატრაძე  
კინოკრიტიკოსი

ლელა ნიფურიას ახალი დოკუმენტური ფილმი "გონის სუვერენობა" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარსულსა და აწმყოს ასახავს. იმედია ეს ფილმი მალე გახდება ფართო მასშტაბის მსოფლიოს სელმისაწვდომი და ჩვენი ერის ისტორიისა თუ თანადროული რეაქციების გააზრების შესანიშნავ საშუალებად იქცევა. ასახული მოვლენებისადმი დიალექტური დამოკიდებულება ფილმის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა. ავტორი ახერხებს დოკუმენტალურ-ქრონიკალური დისკურსისგან თავის დაღწევას და მასალის მხატვრულ გააზრებას, რაც მეტაფორული მონტაჟის, სათქმელის ზეპოლიტიკური განზოგადების და ავტორის პიროვნული პოზიციის გაცხადების ხარჯზე ხდება შესაძლებელი. ფილმის ექსპოზიციონში რეჟისორი XXI საუკუნის თბილისური არქიტექტურის, უფრო სწორედ ინდუსტრიული ცივილიზაციის კირის სარკისებურ ფასადებში არეკლილი ამპირის სტილის ძველი სახლების პანორამას გვთავაზობს. კადრს მიღმა ისმის ტექსტი: "ამ სახლებში (რა თქმა უნდა ძველი შენობები იგულისხმება) უნივერსიტეტის დამაარსებლები ცხოვრობდნენ..." ასე იდება ხიდი ძველსა და ახალს, ისტორიასა და აწმყოს შორის. იქმნება ერთიანი, მონოლითური დრო და სივრცე, სადაც აწმყო გარკვეულწილად წარსულითაა დეტერმინირებული და განპირობებული.



კადრი ფილმიდან.

"უძრავი ხანისადმი" ერთგვარი ნოსტალგიით არიან განმსჭვალულნი, მისტირიან წარსულს, სადაც მათ სოციალური გარანტიები და პრივილეგიები ჰქონდათ. ეს განწყობა ფილმში რეჟისორმა "განწყინებულ" პროფესორთათვისაც არის დამახასიათებელი, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ ეხება იმ მართლაც "რჩეულ გონს" ვინც საქართველო დღემდე მოიტანა და დღესაც ერის იდენტიფიცირება მათთან მიმართებაში ხორციელდება. აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე ფილმში საუბრობს რა საუნივერსიტეტო რეფორმის გზებზე, ხაზს უსვავს ჰუმანიტარული მეცნიერებების პროორიტეტულობას. ერის კრეატიულობისა და საერთოდ მისი არსებობის განმაპირობებელი სწორედ ჰუმანიტარული განზომილებაა. ადამიანი ინტენციონალური არსებაა თუკი ის აზროვნებს. მატერიალური ცივილიზაცია მეტაფიზიკური თვალსაზრისით ნეიტრალურია. თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ე. წ. "გამოტანილი ცნობიერება" ანუ სხვადასხვა ელექტრონული თუ ციფრული მატარებელი ადამიანის ტვინის ფუნქციას ითავსებს. "სულიერი გაზარმაცება" ერთგვარ პასიურ ცნობიერებას აყალიბებს, რაც თავის მხრივ მრავალ კრიზისულ ზონას ბადებს. ჰუმანიტარული განზომილება და ზოგადად მეცნიერება კი ამ სტაგნაციის დაძლევის ერთადერთი საშუალებაა.

ისევ დაუბრუნდეთ სტუდენტების მიერ "გააზრებულ" გეორგიევსკის ტრაქტატის თემას. საინტერესოა ერთი თავისებურება. ჩვენი ცნობიერებისთვის უცხოა ფასეულობათა გადაფასება. მუდამ დოვამებითა და კლიშეებით ვებმძღვანელობთ. ისტორია, ხომ არ განხორციელებული, შესაძლო გზებისა და ალტერნატიული არჩევანის გაანალიზების საშუალებაა. დღესაც არავინ ცდილობს არსებული მენტალური ხარვეზების გაცნობიერებასა და პრობლემის არსში უარკვევას. და კიდევ, ჩვენში, რაც გარდა რუსულ-საბჭოური მენტალიტეტისა და წარსულითაა განპირობებული, პასუხი ერთპიროვნულად მეფეს, ბელადსა თუ პრეზიდენტს ეკისრება. იქნება ეს ერეკლე II, სტალინი თუ შევარდნაძე და საკუთრივ ერი, არანაირად არ ინანილებს ამ პასუხისმგებლობას. XX საუკუნის გერმანიის ისტორიული თუ კულტურული ცნობიერების მავალითზე ცხადი ხდება, რომ ე.წ. "გერმანული კომლექსისაგან" თავის დაღწევა, სწორედ პრობლემის სწორი გააზრების ხარჯზე გახდა შესაძლებელი. მათ პრობლემა არა ერთპიროვნულად პიტერის სახით ესახებოდათ, არამედ იმ ნიადაგში, რამაც ნაცისტური იდეოლოგიის ჩასახვა და აღზევა გახდა შესაძლებელი. კონკრეტულად კი იმ ბიურგერულ ცნობიერებაში, წვრილ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ფენებში, რაც ნაცისტების მთავარ საყრდენს წარმოადგენდა. ერთად ინგლისელმა დიპლომატმა რუსეთის მისამართით განაცხადა: "რუსები გენეტი-

კურად არაკომპეტენტური და ავტორიტარული ხელისუფლების ყოლისკენ არიან განწყობილნი". იქნებ ეს პრობლემა ჩვენშიც აქტუალურია? დღესაც ვეძებთ "მამას" და მას ვარქმევთ "მეგობარს". კიდევ ერთი ცნობილი გამოთქვამის პერეფრაზირებას გავაკეთებ: "დიდ სახელმწიფოებს თუ ერებს არ ჰყავს მეგობრები, მათ აქვთ მხოლოდ საკუთარი ინტერესები".

ლელა ნიფურიას ფილმში უნივერსიტეტი არა მხოლოდ "მეცნიერების თეთრი ტაძარია", არამედ გასული საუკუნიდან მოყოლებული Dღემდე, საქართველოს ისტორიის, სულიერების, თვითმეცნიერების თუ რელიგიურობის სიმბოლოა. სწორედ უნივერსიტეტთან მიმართებაში იდენტიფიცირდება ავტორისთვის ერის წარსული და აწმყო. ქრონიკალური კადრები უნივერსიტეტის დამაარსებლებსა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ერთ ურთიერთგამჭოლ პროცესად წარმოგვიჩენს. ამას თან სდევს გასაბჭოება, სტალინ-ბერიას რეპრესიული მანქანის ამოქმედება და ა.შ. ამ რეპრესიებმა მიზანმიმართულად სწორედ "რჩეული გონი" იმსვენებლა. თავდაპირველად 20-იან წლებში ჯერ არისტოკრატია მოაშთეს, ხოლო შემდგომ 30-იანი წლებიდან მოყოლებული ინტელიგენცია, ანუ სულიერი არისტოკრატია. რა თქმა უნდა ძირითადი სამიზნე სწორედ უნივერსიტეტის პროფესურა გახდა და შეიქმნა ახალი გენერაცია "ნითელი" პროფესორისა და ინტელიგენციის სახით. ავტორისთვის უცხოა დღესდღეობით ესოდენ პოპულარული "ბრალმდებლის" როლი, მოვლენებისადმი ცხალსახა, ტენდენტური მიდგომა. ჩვენ და ჩვენი წინა თაობები, სწორედ ამ საბჭოურმა ინტელიგენციამ და პროფესურამ ადგვზარდა. სწორედ მათ მოიტანეს დღემდე საქართველო და დღესაც ჩვენი ერის "რჩეულ გონს" წარმოადგენენ. დღეს "მოდამი" დისიდენტური მოძრაობისადმი პიეთეცია. სინამდვილეში სულიერებისა და კულტურის გადარჩენა, რაც ერის გადარჩენის ტოლფასია, ინტელიგენციის ერთგვარი კონფორმიზმის წყალობით გახდა შესაძლებელი. მათი ვინც არსებული რეჟიმის პირობებშიც, იღვწოდა და ქმნიდა, საკუთარი პროფესიის ერთგული რჩებოდა. ფილმის მსვლელობისას დღევანდელი საუნივერსიტეტო ცხოვრების ფონზე, არაერთხელ ჩნდება დიდ მეცნიერთა ბიუსტები და პორტრეტები. კამერა იმ აუდიტორიაშიც შეიხედავს, სადაც უნინ ლაზარეთი იყო და ვაჟა გარდაიცვალა. ლექციები ივანე ჯავახიშვილის პირადი ნივთებისა თუ უძველესი კულტურის დამადასტურებელი არქეოლოგიური ექსპონატების ფონზე მიმდინარეობს. ნიკო ყაასავილისა და აკაკი შანიძის სახელების კონფერენციები ტარდება. ისტორია და ტრადიცია თავად აქაური ატმოსფეროა უპირველეს ყოვლისა. კადრში "ტოცხალი ლეკვდებიც" ჩნდება - რისმაც გორდენიანი, გრივერ ფარულავა და მრავალი

სხვა. ლელა ნიფურია არის აგრეთვე ავტორი ფილმისა "უვერტიურა", რომელიც შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს ეძღვნება, სადაც უფრო ინტიმური, ლირიული ატმოსფეროა კონსტრუირებული. "გონის სუვერენობა" კი სტილისტურად უფრო მეტად ეპიზაციისკენ იხრება.

ფილმში ქართული ენის დასაცავად მოწყობილ დემონსტრაციას 9 აპრილის ქრონიკა ენაცვლება, შემდეგ "ვარდების რევოლუცია" და ასე. უნივერსიტეტის ეკლესიის კუროხევა და პატრიარქის აღსაყდრების ოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა, პრეზიდენტის წინასაარჩევნო შეხვედრა სტუდენტებთან თუ ნინო ბურჯანაძის სტუმრობა ყოფილ პედაგოგებთან და კოლეგებთან. მოკლედ უახლესი ქართული ისტორია ამ კედლებში აირეკლება. ლელა ნიფურიას კამერა ყოფით რეალიებზე, სოციალურ ფონსა თუ ადამიანების შეჭირვებაზეც ახდენს ფოკუსირებას. ფილმში ნაჩვენებია მასა, ცხადყოფს თუ ე.წ. "ქალაქელმა გლეხობამ", როგორ შთანთქს კლასობრივი იდენტურობის სხვა ფორმები და მათი ასიმილირება მოახდინა. ქალაქი გახდა მძიმე მხეცის" (ჰაიდგერის ტერმინია, ანუ ადამიანი, რომელმაც საკუთარი ჭეშმარიტება დაკარგა) ერთადერთი თავშესაფარი.

კადრს მიღმა ისმის ტექსტი: "დღეს დამკვიდრდა ისეთი ტერმინები, როგორცაა "ბოლონიის პროცესი", "ლისაბონის სტრატეგია"... ფილმის ერთ-ერთი მთავარი ბლოკი სწორედ განათლების რეფორმასა და უნივერსიტეტის რეორგანიზაციას ეხება. ჩემი აზრით ეს მეტად საყურადღებოა, ვინაიდან მასობრივ ცნობიერებაში ღრმად გამჯდარია ერთგვარად ნეგატიური დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი, რაც თავისთავად არაკონსტრუქციულია და მხოლოდ უმეცრებას ემყარება. ესეც დრომოჭმული სტერეოტიპებისა და სიახლისადმი გაუფრთხილებელი შიშის სინდრომითაა ინსპირირებული. ანდა უბრალოდ კონკურენციის გვეშივნია, ვინაიდან ჩვენს საზოგადოებაში პროფესიონალიზმი მთავარ ღირებულებას არასოდეს არ წარმოადგენდა. რეფორმის შედეგად უნივერსიტეტს ეძლევა საშუალება ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებული სასწავლო პროგრამები და განათლების ადმინისტრირების მექანიზმები დანერგოს. უნივერსიტეტი და მისი ხელმძღვანელები ამ მხრივ მართლაც კოლოსალურ შრომას ეწევიან, რაც ნათლადაა ფილმის ასახული. ფილმის მსვლელობისას არაერთხელ ვისმინებ რექტორ გიორგი ხუბუასა თუ სხვა ადმინისტრაციული მუშაკების ნააზრევს, რაც თავის მხრივ მეტად საინტერესოა და კონსტრუქციულია. ამასთანავე რეალური ქმედებითაა გამაყრებელი. იქნება ეს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა თუ კიონის უნივერსიტეტთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა, უამრავი უცხოური სამეცნიერო თუ სასწავლო გრანტი, საუნივერსიტეტო ბაზის მოდერნიზაცია თუ სასწავლო პროცესის ოპტიმიზაცია. ფილმში რექტორი ხუბუა ახდენს იმ ფაქტის კონსტატირებას, რომ ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ სტუდენტთა 85%-მა სახელმწიფო გრანტი მოიპოვა, ანუ აბიტურიენტთა ყველაზე ინტელექტუალური ნაწილია აქ თავმოყრილი. აგრეთვე ვისმინებ, რომ აბიტურიენტთა 85% პირველ ნომრად სწორედ თსუ-ს მიუთითებს. უნივერსიტეტის პრესტიჟი მართლაც ძალზედ მაღალია და საესებით სამართლიანადაც, რაც თავის მხრივ "გონის სუვერენობას" მოიაზრებს. ამიტომაც კაცო ვამბობთ იმის არაჩვეულებრივი მუსიკის ფონზე ალბერტო კალაოზის "გონის სუვერენობას" დაუკავშირებს. "გონის სუვერენობა" კი ლელა ნიფურიას ტრანსკრიფციით "ერის სუვერენობას" უტოლდება.



## აღვიშა

16 იანვარი  
თეატრი

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**  
"ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი"  
რეჟისორი რობერტ სტურუა  
დასაწყისი: 19.00

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**  
"ART ხელოვნება"  
რეჟისორი თემურ ჩხეიძე  
დასაწყისი: 19.00

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი**  
"თავისუფალი წყვილი"  
რეჟისორი ქეთი დოლიძე  
დასაწყისი: 19.00

**"თეატრი სხვენში"**  
პრემიერა  
"მაცურებელთა დარბაზები"  
დასაწყისი: 20.00

**"თეატრალური სარდაფი"**  
"თავი"  
რეჟისორი ლევან ნუღაძე  
დასაწყისი: 20.00

**"თავისუფალი თეატრი"**  
"ღმერთო დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"  
რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი  
დასაწყისი: 20.00

**პანტომიმის თეატრი**  
"სტუმარ-მასპინძელი"  
რეჟისორი ამირან შალიკაშვილი  
დასაწყისი: 19.00

**მუსიკისა და დრამის თეატრი**  
"მერი პოპინსი"  
რეჟისორი დავით დოიაშვილი  
დასაწყისი: 19.00

### კინო

**"ამირანი"**  
რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"  
დასაწყისი: 12.30; 15.15; 17.30; 19.30; 20.00; 22.15  
"დღეს, როცა დედამინა გაჩერდა"  
დასაწყისი: 19.45; 22.00  
"ნადირობის სეზონი 2"  
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00;

**"რუსთაველი"**  
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"  
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00  
"ნადირობის სეზონი 2"  
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00 ; 19.00 ; 21.00  
"დღეს, როცა დედამინა გაჩერდა"  
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.15; 19.15; 21.30  
"ტრანსპორტერი III"  
დასაწყისი: 13.45; 15.45; 17.45; 19.45; 21.45  
"არწივის თვალი"  
დასაწყისი: 12.45; 15.15; 17.30; 20.00; 22.15

**კინოს სახლი**  
"Jesus Christ Superstar"  
დასაწყისი: 18.00  
როკ-კონცერტის ჩვენება  
აჩიკო ბენაშვილთან ერთად  
დასაწყისი: 20.00

### გალერეა

**"ქარვასლა"**  
ჰორსტ იანსენის გრაფიურები

**"ორნამენტი"**  
ტიხრული მინანქრის მუდმივი გამოფენა

**"შარდენი"**  
ლევან მარგანიანის ნამუშევრების გამოფენა

**"ვერნიასი"**  
ფელიქს ვარლამიშვილის (1903-1986) გამოფენა  
ფერწერა და გრაფიკა კერძო კოლექციებიდან

**N გალერეა**  
სანდრო ანთაძის პერსონალური გამოფენა

### ბანკსადასა ტენდერის ჩატარების შესახებ.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი N6) აცხადებს ორეტაპიან ტენდერს აჭარის ა/რ-ის 2009 წლის ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო პროფილაქტიკური და სოციალური დაცვის პროგრამების ასიგნებათა ფარგლებში **ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური სამედიცინო დახმარების კომპონენტის** შესყიდვაზე და ინვესტორში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი.  
- **ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური სამედიცინო დახმარება.**  
3. **დაფინანსების წყარო:** აჭარის ა/რ-ის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი.  
4. მომსახურეობის განევის ვადაა ხელშეკრულების დადების დღიდან 2009 წლის 25 დეკემბრამდე.  
5. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში.

6. **ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის:**  
ტენდერის პირველ ეტაპზე პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი პირველადი სატენდერო წინადადება (ფასის გარეშე) და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 6 თებერვალს 10.00 საათიდან 14.00 საათამდე, მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი N6, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ბიუჯეტის დაგეგმარებისა და პროგრამების მართვის დეპარტამენტი, ოთახი N21.**

**პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**  
• ტენდერში მონაწილე მსურველი პირის დასახელება;  
• მომსახურების ზოგადი აღწერილობა, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გამოცდილებისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ.  
• ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;  
• ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის სამტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დასაქმებული სამედიცინო პერსონალი სერთიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.  
• შევსების თარიღი და ხელმოწერა;

**პირველადი სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება სატენდერო კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 6 თებერვალს 1400 საათზე.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწონ კომისიის სხდომას.

7. პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- 7.1 **იურიდიული პირისათვის:**  
ა) სატენდერო განაცხადი (უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს).  
ბ) პრეტენდენტი უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული (ფიზიკური) პირი (უნდა იყოს წარმოდგენილი ამონაწერი სამედიცინო რეესტრიდან შესაბამისი ქალაქის ან რაიონის საგადასახადო ორგანოდან)  
გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურიდან);  
დ) ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსტრუქციიდან).

7.2. **ფიზიკური პირისათვის:**  
ა) სატენდერო განაცხადი (უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს).

ბ) ცნობა მისი ქმედითუნარიანობის შესახებ (შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან).

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან).

8. პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დარჩენილი ორი ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

9. შესყიდვის პროცესში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულებისა და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი შემდეგი ოდენობითა და ფორმით: სატენდერო წინადადების საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორებთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორებიც გაივლიან საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

12. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებინან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები ეცნობათ პრეტენდენტებს სატენდერო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში.

13. ტენდერის მეორე ეტაპზე დაშვებულმა პრეტენდენტებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადახადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახური - მიმღები ა/ა 897293000, ს/კ 245428755. მიმღები ბანკი - ს.ს. საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი: ბ/კ 220101502 გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური სამედიცინო დახმარების კომპონენტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო).

14. მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარის წარმოდგენისთანავე, პრეტენდენტს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მიიღოს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი N6, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ბიუჯეტის დაგეგმარებისა და პროგრამების მართვის დეპარტამენტი, ოთახი N21.

მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების, აგრეთვე სატენდერო წინადადების წარმოდგენის ვადების შესახებ ინფორმაციას მეორე ეტაპზე დაშვებული პრეტენდენტები მიიღებენ პირველი ეტაპის შედეგების შესახებ გაგზავნილ შეტყობინებაში.

15. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.  
16. ტენდერი ტარდება თანახმად საქართველოს კანონისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან - ხათუნა კოჩაძე, თათია გორგილაძე. ტელ. 7.01.34. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი N6, მე-5 სართული, ოთახი N21.

სატენდერო კომისია

### თვალის მიკროქირურგიის ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს კლინიკა "ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოკრავი საოპერაციო ბლოკით

უკანასკნელი თაობის ასფერული მულტიფოკალური ბროლი Acrysof-ReSTOR კატარაქტის ქირურგიაში საუკეთესო მხედველობა სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე ახლო მანძილზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

### პაციენტების საყურადღებოდ !

ცნობილი ექიმები, მედიცინის დოქტორი, ნევროლოგი არჩილ საყვარელიძე და თერაპევტი, გასტრო-ენტეროლოგი დავით ნემსაძე იღებენ პაციენტებს ყოველდღიურად დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში. პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩანერით. მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე. მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20 (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან) ტელ.: 91 31 19; 91 32 42;

### ჩვენი საქმიანობის პრიორიტატი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარკვევი ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისა !!!

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარქვევი ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება. სარქვევი ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს. პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე. პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით. გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩანერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20 (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან) ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;

# სპორტი

## შოთა ხაბარელმა ქიუდოში სიმპონიდას ფარდა ახადა

გიგა გურასაშვილი

ქართული სპორტული სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ძიუდოს ეროვნული ფედერაციაა. წარმატებას ბუნებრივია, შედეგები განსაზღვრავს. შედეგები კი ისეთია, ბევრ მოწინავე ქვეყანას რომ შემურდება. ყოველივეს გათვალისწინებით რთულად წარმოსადგენი იყო თუ ქართული ძიუდოში სიმპონიდა არ სუფევდა. ამ მხრივ გუშინდელი დღე სიურპრიზი აღმოჩნდა.

შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში ნაკრების მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის საგანგებო პრესკონფერენციის დაწყებამდე არაერთი ვარაუდი გამოიქვეყნა. განჩნდა ეჭვი, რომ ტიტულოვანი მწვრთნელი ნაკრებიდან ნასვლის თაობაზე განაცხადებდა. ყოველ შემთხვევაში, კულუარული ინფორმაციით მიზეზი მწვრთნელსა და ფედერაციის ხელმძღვანელებს შორის კონფლიქტი უნდა ყოფილიყო. ამგვარი ეჭვები რეალობას რომ არ იყო მოკლებული, პრესკონფერენციის მსვლელობამაც დაგვარწმუნა.

და მაინც, რა ხდება? საქართველოს ძიუდოსითა ნაკრების მთავარი მწვრთნელი და იმავდროულად 2008 წლის ევროპის საუკეთესო მწვრთნე-



ზენოლის მიუხედავად ხაბარელი ნაკრებიდან ნასვლას არ აპირებს.

ლად აღიარებული შოთა ხაბარელი, რომელიც 17 წლის განმავლობაში სათავეში უდგას ნაკრებს, ძიუდოს ფედერაციის ფედერაციისვე პირველ ვიცე-პრეზიდენტ დავით ბერძენიშვილთან დაკავშირებით ერთგვარი მოთხოვნები აქვს.

საგანგებო პრესკონფერენციაზე ხაბარელმა ფედერაციის ხელმძღვანელობისგან მასზე არსებულ ზენოლაზე ისაუბრა. გამოვიდა ისე, რომ ძიუდოს სამყაროში გამეფებული სიმპონიდე მოჩვენებითი ყოფილა.

“ზენოლის აზრი ერთადერთია – თანამდებობა დაეტოვო. კატეგორიულად ვაცხადებ, საქართვე-

ლოს ნაკრებიდან არ წავალ. ჩემი მხრიდან ეს იქნება ლალატი. ხოლო თუ ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბაშვილი მწვრთნელების თხოვნას არ დააკმაყოფილებს და დავით ბერძენიშვილს თანამდებობას არ დაატოვებინებს, ნალოლიავეები ქართული ძიუდოს სკოლა და მისი წარმატებები ხუხულასავით ჩამოინგრევა”, - აცხადებდა შოთა ხაბარელი.

თავის მხრივ ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის დავით ბერძენიშვილის უკმაყოფილების მიზეზი კი ის ყოფილა, რომ ხაბარელი მწვრთნელობასთან ერთად თურმე ბუღალტრობასაც ითავსებდა: “ძიუდოს

ფედერაციაში სერიოზულად დაინყო სახსრების განკარგვა. აქამდე კი ბუღალტრის ფუნქციას ფაქტობრივად, მთავარი მწვრთნელი ასრულებდა. მსგავსი რამ არ უნდა ხდებოდეს”.

ერთი რამ კი ცხადია, უფრო სწორად საკითხავი მსგავსი შედეგების მქონე მწვრთნელის გზიდან ჩამოშორებას რომელი ფედერაცია ისურვებდა?

და კიდევ, თბილისის მსოფლიო თასის წინ და მაშინ, როდესაც ძიუდოსითა ევროპის ჩემპიონატის სამასპინძლოდ ვემზადებით ფედერაციის შიგნით არეულობა თუ დაძაბულობა არავის არგებს.

## კოკაიმ და ტოჩინოშინმა როლები გაცვალეს

გუშინ იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მიმდინარე სუმოსიტა წლის პირველ სუპერტურნირზე მეხუთე საასპარეზო დღე იყო. ბაშოს პირველი წარმატებული დღის შემდეგ ქართველები ერთად ვეღარ იგებენ. გუშინდელმა გამოცდილ ლევან ცაგურიაზე უკეთ ახალგაზრდა ლევან გორგაძე ასპარეზობდა, გუშინ კი კოკაიმ და ტოჩინოშინმა როლები გაცვალეს. კოკაი, რომელსაც ოთხი დღის შემდეგ ერთი გამარჯვება ჰქონდა, ხვდებოდა აღმოსავლეთის მეექვსე მაიგაშირას ბუშუიამას, რომელსაც ზუსტად ისეთი მაჩვენებელი ჰქონდა, როგორც ქართველს. კოკაიმ ბრძოლა კარგად წარმართა და მეტოქე ჰატაკიკომის ილეთით დაამარცხა. ამით ლევან ცაგურია ოდნავ გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. ახლა ქართველი სუმოსიტის აქტივში ორი გამარჯვებაა.

კოკაის მხარი ვერ აუბა ტოჩინოშინმა, რომელსაც გუშინდელმა სამი გამარჯვება და



კოკაიმ მეორე ბრძოლა მოიგო.

ერთი მარცხი ჰქონდა. ლევან გორგაძის მეტოქე აღმოსავლეთის მეოთხე მაიგაშირა ტამანოშიმა იყო. ტოჩინოშინმა იორიკირის ილეთით წააგო. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ქართველი სუმოსიტი ჯერჯე-

რობით დადებით ბალანსს ინარჩუნებს - ხუთი ბრძოლის შემდეგ სამი გამარჯვება და ორი მარცხი აქვს.

პრობლემების გარეშე გაიმარჯვეს ბაშოს ფავორიტებმა. ჰაკუჰომ იოშიკაზე დაამა-

რცხა, ასოშორიუმ კი - ტაკეკაზე.

ორივე იოკოძუნას ასპროცენტისი მაჩვენებელი აქვს. სუმოს აღიარებულ გრანდებს კონკურენციას უწევს აღმოსავლეთის მეთორმეტე მაიგაშირა ტოჩინოშინი, რომელმაც აქამდე გამართული ხუთივე ბრძოლა მოიგო.

დღეს ტოჩინოშინი უნდა შეერკინოს აღმოსავლეთის მეცამეტე მაიგაშირა ტამაგაშის, რომელსაც ხუთიდან ორი ბრძოლა აქვს მოგებული. გასულ წელს გამართული სამი დაპირისპირებიდან მან ქართველს ორი მოუგო.

კოკაის მეტოქე იქნება დასავლეთის მეექვსე მაიგაშირა არანი, რომელსაც, ლევან ცაგურის მსგავსად, სამი მარცხი და ორი გამარჯვება აქვს. კოკაი და არანი ბოლო ერთი წლის განმავლობაში ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს 2008 წლის უკანასკნელ ბაშოზე მოხდა. მაშინ კოკაიმ იოლად დაამარცხა მეტოქე.

### კალაძეს ბელგიელი ექიმი უმკურნალებს

საქართველოს ნაკრებისა და მილანის მცველ კალაძეს, რომელსაც ბოლო პერიოდში მუხლის არეში ტკივილი აწუხებს, ცნობილი ბელგიელი ექიმი მარკ მარტენსი გამოიკვლევს.

ეს უკანასკნელი საფეხბურთო წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და მას არაერთი მოთამაშე განუკურნებია. რაც შეეხება კალაძეს, რამდენიმე დღის წინ მან იტალიაში ჩაიტარა სამედიცინო გამოკვლევა, თუმცა აპენინელმა მედიკოსებმა ტკივილის მიზეზს ვერ მიაგნეს. სწორედ ამის შემდეგ გადაწყდა საქმეში მარტენსის ჩართვა.

შეგახსენებთ, რომ კალაძემ მილანელთა რიგებში ბოლოს 21 დეკემბერს, “უდინეზესთან” მოგებულ მატჩში ითამაშა. მას შემდეგ ქართველმა მცველმა გუნდის ლაზარეთში გადაინაცვლა.

### გოვემ სეზონი დაასრულა

საფრანგეთის ნაკრებისა და “ლიონის” ფორვარდი სიდნი გოვე, აქილევსის მყესის განყვეტის გამო, სეზონის დარჩენილ ნაწილს სტატისტიკის როლში გაატარებს. თავდამსხმელმა საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტური დაშავებული საზარდულის მიზეზით გამოტოვა, ახალი ტრავმა კი მან ოთხშაბათის ვარჯიშის დროს მიიღო. უახლოეს დღეებში გოვეს ოპერაციას გაუკეთებენ. ვარჯიშს კი მხოლოდ ზაფხულში განაახლებს.

### რობენმა ფიფას არჩევანი დაუნდა

მართალია, რამდენიმე დღის წინ ფიფამ განვლილი საფეხბურთო წელი ოფიციალურად შეაჯამა, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთები, ვისაც წლის საუკეთესო მოთამაშის თაობაზე საკუთარი პოზიციის გამოხატვა სურს. ამჯერად ინიციატივა აიღო მადრიდის “რეალის” ჰოლანდიელმა ლეგიონერმა არიენ რობენმა, რომელმაც ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული გამოკითხვის შედეგები უსამართლოდ მიიჩნია.

“მე თუ მკითხავთ, საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზი ლიონელ მესისთვის უნდა გადაეცათ. “ბარსელონას” არგენტინელი ლიდერი დღეს ყველაზე უკეთესად თამაშობს. ხანდახან მოედანზე ისეთ რამეს აკეთებს, რომ მისი ამქვეყნიურებაში ეჭვი მეპარება”, - განაცხადა რობენმა.

### რონალდო არ ჩქარობს

ფეხბურთის ბრაზილიელმა ლეგენდამ, 32 წლის რონალდომ, გასულ თვეში “კორინთიანსთან” გააფორმა ხელშეკრულება, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უწინს, რომ ამ კლუბში “ფენომენის” დებიუტი მხოლოდ მარტში გაიმართება. ტრავმებისგან დატანჯული ფეხბურთელი ჯერჯერობით ვერაფრით ვერ ახერხებს სასურველი ფიზიკური კონდიციების დაბრუნებას.

შეგახსენებთ, რომ რონალდომ 2008 წლის თებერვალში, როცა ის ჯერ კიდევ “მილანის” წევრი იყო, მარცხენა მუხლზე მძიმე ტრავმა მიიღო და მას შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა.

“ვარჯიშებზე შეძლებისდაგვარად ბოლომდე ვიხარჯები. თანდათან ვიცილებ ზემდგომ ნონას, მაგრამ ჯერჯერობით მიჭირს იმის თქმა, როდის შევძლებ მოედანზე დაბრუნებას. ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: ეს იანვარში არ მოხდება. ალბათ არც თებერვალში. სათამაშოდ მზად არ ვარ. უწინდელივით აღარ მოვიქცევი - სანამ არ ვიგრძნობ, რომ 100 პროცენტით მზად ვარ, მანამდე ოფიციალური თამაშების ჩატარებისგან თავს შევიკავებ. ადრეც რომ ასე მოვქცეულიყავი, ჩემი კარიერა გაცილებით უფრო წარმატებული იქნებოდა. მაგრამ წარსულს ვეღარ დავაბრუნებ. ახლა მხოლოდ ის შემთხვევაა, რომ ძველი შეცდომები გავითვალისწინო და აღარ გავიმეორო”, - ამბობს “ელ ფენომენო”.

### რუნი დაშავდა

“მანჩესტერ იუნაიტედის” თავდამსხმელმა უეინ რუნიმ “უიგანთან” პრემიერლიგის გადადებულ მატჩში ბარძაყის კუნთი დაიზიანა და შეხვედრის დამთავრება ვეღარ შეძლო. ანგარიში პირველ ნუთზე სწორედ რუნიმ გახსნა, მაგრამ ექვს ნუთში ტრავმა მიიღო და იტულებული გახდა მოედანი დაეტოვებინა. თამაშის დარჩენილ დროში გოლის გატანა ვერც შეტყვის ლიდერის გარეშე დარჩენილმა მანჩესტერელებმა მოახერხეს და ვერც უიგანელებმა. შეხვედრა 1:0 დასრულდა.

რაც შეეხება რუნის ტრავმის სიმძიმეს, ეს საკითხი უახლოეს დღეებში საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმების შემდეგ გახდება ცნობილი.

### დავიდს არგენტინაში სურს კარიერის გაგრძელება

ჰოლანდიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ნახევარმცველმა ედგარ დავიდსმა საფეხბურთო კარიერის არგენტინის ჩემპიონატში დასრულების სურვილი გამოთქვა.

35 წლის ჰოლანდიელის შექმნით "რივერ პლეიტი", "ბოკა ხუნიორსი", "ინდეპენდიენტე" და "ნიუელს ოლდ ბოიზი" არიან დაინტერესებული.

დავიდსი იმედოვნებს, რომ კარიერის ბოლო კონტრაქტის ღირებულება 600 ათასი დოლარი იქნება. უკანასკნელი კლუბი, რომელმაც მან ითამაშა, ამსტერდამის "აიაქსია". ამ კლუბს ის გასული სეზონის დასრულებისთანავე დაშორდა.

### ნორვეგიელებმა ოლსენს უხმეს

ნორვეგიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა 66 წლის ეგილ ოლსენი, რომელიც სკანდინავიელებს გერმანიასთან, ფინეთთან და სამხრეთ აფრიკასთან გასამართ ამხანაგურ მატჩებში უხელმძღვანელებს.

ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაცია ახალი თავკაცის მოძიებას 6 ივნისამდე გეგმავს. ამ დღეს ნორვეგიის ეროვნული გუნდი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მაკედონიას ეთამაშება.

ოლსენმა ხსენებულ თანამდებობაზე შეცვალა ოგე ჰარეიდე, რომლის ხელშიც ნორვეგიის ნაკრებმა შესარჩევ ტურნირში გამართულ სამ მატჩში 2 ქულა მოაგროვა და მე-9 ჯგუფში ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.

ოლსენი ნორვეგიელებს 90-იან წლებში თავკაცობდა და გუნდი 1994 და 1998 წლების მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ათამაშა.

### "ფიორენტინამ" ბონაცოლი დაინიშნა

24 წლის იტალიელი ფორვარდი ჯამპაოლო პაცინი "ფიორენტინიდან" "სამპდორიაში" გადაბარდა. გენუური კლუბი ამ ტრანსფერზე ორი თვის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა. ერთხანს პაცინის დათმობის წინააღმდეგი არც ფლორენციელები იყვნენ, მაგრამ განვილილ ტურში "ლეჩესთან" შეხვედრის დროს ადრიან მუტუს დაშვებამ თითქმის შეთანხმებული ტრანსფერი კინალამ ჩაშალა - რუმინელის გამოკლებისა და პაცინის გასხვისების შემთხვევაში, ფლორენციელებს, ალბერტო ჯილარდინოს სახით, ერთადერთი საღსალამათი თავდამსხმელი რჩებოდა.

მაშინვე გაჩნდა ინფორმაცია, "ფიორენტინას" თავკაცმა ჩეზარე პრანდელიმ პაცინის გაშვება გადაიფიქრაო. სიტუაცია მუტუს ტრავმის გამოკვლევამ განუხილავ - როგორც მოგვიანებით გაირკვა, რუმინელი ფორვარდი უმნიშვნელოდ ყოფილა დაშავებული, რამაც პაცინის ტრანსფერის მწვანე შუქი აუთო.

"სამპდორია" ფეხბურთელის სანაცვლოდ 7 მილიონ ფუნტს გადაიხდის. ამასთან, გენუური კლუბიდან "ფიორენტინაში" გადაბარდება 30 წლის თავდამსხმელი ემილიანო ბონაცოლი, რომელიც იჯარის საფუძველზე სეზონის დარჩენილ ნაწილს ფლორენციული გუნდის შემადგენლობაში გაატარებს, ზაფხულში კი "იებს", შესაბამისი სურვილის შემთხვევაში, მისი გამოსყიდვის უფლება ექნებათ.

### "ფეინოორდმა" მთავარი მწვრთნელი დაითხოვა

როტერდამის "ფეინოორდმა" მთავარი მწვრთნელი გერტ ვერბეკი არადაკმაყოფილებელი შედეგების გამო თანამდებობიდან დაითხოვა.

ვერბეკმა "ფეინოორდი" გასული წლის ზაფხულში ბერტ ვან მარვიკისგან ჩაიბარა, თუმცა 26 მატჩში როტერდამელებს მხოლოდ 14 მოაგებინა და კარისკენაც მიუთითეს.

"ფეინოორდს" ჰოლანდიის ერედივიზიონში მე-12 ადგილი უკავია, უეფას თასზე კი გუნდმა ჯგუფურ ეტაპზე ოთხივე მატჩი წააგო და ბოლო ადგილზე გავიდა.

### კაკა "მილანში" დაბერდება

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და "მილანის" შემტევემა ნახევარმცველმა კაკამ ინგლისის პრემიერლიგის კლუბ "მანჩესტერ სიტში" შესაძლო გადასვლის შესახებ გავრცელებული ხმები უარყო.

"მინდა "მილანს" შევებრდე. უკვე რამდენიმე სარფიანი შეთავაზება უარყავი და ამას კიდევ არაერთხელ გავაკეთებ. მე გუნდის კაპიტნობა მსურს. მართალია, ახლა კაპიტნის სამკვლარს მალდინი ან ამბროზინი ატარებენ, მაგრამ..." - განაცხადა კაკამ.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "მანჩესტერ სიტში" მილანელმა ოფიციალური წინადადებით მიმართა და კაკას სანაცვლოდ 100 მილიონი ფუნტი შესთავაზა, ხოლო თავად ფეხბურთელს, ანაზღაურების სახით, კვირაში 500000 ფუნტს შეჰპირდა.

# საწვრთნელი შიკრიბა სფფ-ის ტექნიკურ ცენტრში

19 იანვრიდან 1 თებერვლამდე საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრები, რომელიც მარტში ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის ელიტრაუნდში იასპარეზებს, სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" საწვრთნელ შეკრებას გაივლის.

17 წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის გელა შევილაძის განცხადებით, საწვრთნელ შეკრებაზე 21 ფეხბურთელია გამოძახებული. პირველი ერთი კვირის მანძილზე მოთამაშეებს დღეში სამი ვარჯიში ჩაუტარდებათ, შემდეგ კი

დღეში ორჯერ ივარჯიშებენ. გელა შევილაძის გუნდი თებერვლის დასაწყისში სლოვენისა და ხორვატიაში ოთხ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს: 3 და 5 თებერვალს სლოვენის 17 წლამდელთა ნაკრებს ორჯერ გაეჯიბრება, 8 და 10 თებერვალს კი ასევე ორჯერ შეხვდება ხორვატიის გუნდს.

საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრების საწვრთნელ შეკრებაზე მიწვეულნი არიან:

**მეკარეები:** გიორგი აზნიაჯიში ჩაუტარდებათ, შემდეგ კი

ნამო"), დავით ლეგაშვილი (თბილისის "ნორჩი დინამო"), კახა მეშველიანი (ქუთაისის "ტორპედო")

**მცველები:** გოგა ლომაშვილი (რუსეთის "ოლიმპი"), მამუკა კობახიძე (თბილისის "საბურთალო"), ნიკა კვეციანი (ზუგდიდის "ბაია"), ავთანდილ ბრაჭული (დუშეთის "არაგვი"), ნიკა აფაქიძე (ზუგდიდის "ბაია"), ცოტნე ხარაბაძე (ქუთაისის "ტორპედო"), მალხაზ მაჭუტაძე (თბილისის "ოლიმპიკი"), დავით კუბლაშვილი (თბილისის "ოლიმპიკი")

**ნახევარმცველები:** ლევან ელიზბარაშვილი (თბილისის "ნორჩი დინამო"), გიორგი კუხიანიძე (ქუთაისის "ტორპედო"), ნიკა ძალამიძე (ზუგდიდის "ბაია"), გიორგი ჩილვაძე (ბათუმის "დინამო"), მამუკა ლორია (ფოთის "კოლხეთი"), თამაზ აკობია (ზუგდიდის "მგლები"), აკაკი სირბილაძე (გორის "დილა")

**თავდამსხმელები:** ლაშა ჩაიძე (თბილისის "ნორჩი დინამო"), ბესიკ დეკანოიძე (საჩხერის "ჩიხურა"), დავით ხოჭოლავა ("საბურთალო").

# "ქორაბა" წარუმატებელი სარია შეწყვიტეს

NBA-ს რეგულარულ სეზონში ზედიზედ ოთხი წაგებული მატჩის შემდეგ "ატლანტა ჰორნეტსმა" კალიფორნიაში "ლოს ანჯელეს კლიპერსთან" წარუმატებელი სარია შეწყვიტა.

"ქორაბა" ლიგის ერთ-ერთი გამოკვეთილი აუტსაიდერი იოლად დაამარცხეს. ჯორჯიელების უპირატესობა მთელი შეხვედრის განმავლობაში აშკარა იყო. საბოლოოდ "ატლანტამ" მატჩი ანგარიშით 97:80 მოიგო.

ისევე როგორც წინა შეხვედრაში "ფილადელფიასთან", რომელშიც ფაჩუიამ დაბალი გაახერხა, ქართველი ცენტრი ამჯერადაც "ქორების" ძირითად ხუთეულში იყო, თუმცა ჯორჯიელთა მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა ზახას არც ისე ბევრი დრო მისცა - სულ რაღაც 20 წუთი. ამ ხნის განმავლობაში ზახამ თავის გუნდს სამი ქულა შესძინა, შეიძვერ მოიგო ფარქვეშ ბრძოლა, სამჯერ ჩაჭრა მეტოქის შეტევა და ერთი ბლოკ-შოტიც გაახერხა.

ამ გამარჯვების წყალობით "ატლანტა" აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილზე აღზევდა და უკან ჩამოიჭოვა "დეტროიტი". მომდევნო მატჩს ფაჩუილა და მისი თანაგუნდელები ასევე სტუმრად გამართავენ, ამჯერად "გოლდენ სტიტთან". ეს გუნდი დასავლეთ კონფერენციაში მეთორმეტე ადგილზეა.



ფაჩუილის გუნდმა ოთხი წაგების შემდეგ მოიგო.

ქართული კალათბურთისთვის ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა კი ევროპაში მოხდა. ჩვენი ეროვნული ნაკრების 17 წლის ფორვარდმა თორნიკე შენგელიამ ესპანურ "ვალენსიაში" პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა. ის აქამდე ვალენსიელთა ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა, ოთხშაბათს კი "პამესას" ძირითად გუნდში დებიუტი შექმნა - ევროთასზე ბოლონის "ფორტიტუდოს" წინააღმდეგ 8 წუთი ითამაშა და, როგორც ესპანური გაზეთები იწყებინან, ნამდვილად არ ეტყობოდა, რომ დებიუტანტი იყო - 2-დან 1 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 4 ქულას 2 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემაც მიაბაძა.

თორნიკეს "პამესამ" "ფორტიტუდოს" ბოლო წუთებზე 80:74 მოუგო და ევროთასის პირველი ჯგუფური ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულა (6 მატჩი, 6 მოგება). გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა ვალენსიელთა ლიდერმა შემონდ უილიამსმა (11 ქულა, 4 პასი), რომელსაც ქართული პასპორტი აქვს და სამი წლის წინ საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდა.

მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე "ვალენსიას" მეტოქეები იქნებიან უკრაინის "აზოვმაში", სერბეთის "ცრვენა ზეზუდა" და ასევე სერბული "ჰემოფარმი".

# ავსტრალიურ განთავსებას ნადალი და იანკოვიჩი ჩაუდგნენ სათავეები

19 იანვარს ავსტრალიაში სტარტს აიღებს 2009 წლის პირველი დიდი სლემის ტურნირი - ავსტრალიის ღია პირველობა. დღეს გაიმართება პირველი წრის წილისყრა, გუშინ კი საუკეთესო ჩოგბურთელები განთავსდნენ. პირველ ნომრებად რაფაელ ნადალი და ელენა იანკოვიჩი არიან განთავსდნი, სწორედ ეს ორი ჩოგბურთელი უდგას სათავეში საჩოგბურთო რეიტინგებს ვაჟთა და ქალთა შორის.

ავსტრალიის ღია პირველობა ქართველთა გარეშე ჩაივლის. გუშინ ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველივე მატჩები წააგეს მაკა ჩახნაშვილმა და ანა ტატიშვილმა.

- ვაჟები:**
- რაფაელ ნადალი (ესპანეთი)
  - როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
  - ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)
  - ენდი მოური (დიდი ბრიტანეთი)
  - ჯო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)
  - ჟილ სიმონი (საფრანგეთი)
  - ენდი როდიკი (აშშ)
  - ზუანმარტინ დელ პოტრო (არგენტინა)
  - ჯიმი ჰლეიკი (აშშ)
  - დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)
  - დავიდ ფერერი (ესპანეთი)
  - ჟილ მონფისი (საფრანგეთი)
  - ფერნანდო გონსალესი (ჩილე)
  - ფერნანდო ვერდასკა (ესპანეთი)
  - სტანისლავ ვავრინკა (შვეიცარია)
  - რობინ სოდერლინგი (შვედეთი)
  - ნიკოლა პეტროვი (სერბეთი)
  - იგორ ანდრეევი (რუსეთი)
  - მარინ ჩილიჩი (ხორვატია)
  - ტომას ბერდიხი (ჩეხეთი)
  - ტომი რობრედო (ესპანეთი)
  - რადეკ შტეპანევი (ჩეხეთი)

- მარდი ფიში (აშშ)
  - რიშარ გასკე (საფრანგეთი)
  - იო კარლოვიჩი (ხორვატია)
  - მარატ საფინი (რუსეთი)
  - ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი)
  - პოლ-ანრი მეთიუ (საფრანგეთი)
  - დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი)
  - რაიანერ შუტლერი (გერმანია)
  - იურგენ მელცერი (ავსტრია)
  - ფილიპ კოლშრაბიერი (გერმანია)
- ქალები:**
- ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)
  - სერენა უილიამსი (აშშ)
  - დინარა საფინა (რუსეთი)
  - ელენა დემენტიევა (რუსეთი)
  - ანა ივანოვიჩი (სერბეთი)
  - ვინუს უილიამსი (აშშ)
  - ვერა ზონარევა (რუსეთი)
  - სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)
  - აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)
  - ნადია პეტროვა (რუსეთი)
  - კაროლინ ვოზნიაცკი (დანია)

- ფლავია პენეტა (იტალია)
- ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)
- პატი შნიდერი (შვეიცარია)
- ალის კორნეტი (საფრანგეთი)
- მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)
- ანა ჩაკეტაძე (რუსეთი)
- დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი)
- დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)
- ამელი მორესმო (საფრანგეთი)
- ანბელ მედინა გარიგუსი (ესპანეთი)
- ჟე-ჟე (ჩინეთი)
- აგნეს სჟაფი (უნგრეთი)
- სიბილ ზამერი (ავსტრია)
- კაია კანუეი (ესტონეთი)
- აი სუგაიმა (იაპონია)
- მარია კირილენკო (რუსეთი)
- ფრანჩესკა სკიაპონე (იტალია)
- ალისა ზლუბანოვა (რუსეთი)
- სიბილ ჰანტი (პოლონეთი)
- ალექსანდრა ვოზნიკაი (კანადა)
- ალიონა ბონდარენკო (უკრაინა)
- ტამარინ ტანასუვარი (ტაილანდი)

# საბერძნეთს თბილისში ჭარჭი გამოუძღვება

თბილისის "მსოფლიო თასზე" (24-25 იანვარი) ჩამოსვლის მსურველ ქვეყანათა რიცხვი დღითიდღე მატულობს. ჯერ-ჯერობით კი თბილისში ასპარეზობის სურვილი თხუთმეტ ნაკრებს აქვს, რაც მათი მხრიდან ოფიციალური განაცხადებებითაა დამოწმებული.

ძიუდოს ეროვნულ ფედერაციაში გასულ კვირაში თორმეტი ქვეყნის - იაპონიის, საფრანგეთის, რუსეთის, ინგლისის, ისრაელის, აზერბაიჯანის, მოლდოვას, კანადის, ხორვატიის, შვეიცარიის, ბელგიისა და სომხეთის განაცხადები მიიღეს, ამ დღეებში კი ბელარუსის, თურქეთისა და საბერძნეთის ნაკრებთა შეტყობინებებიც ჩამოვიდა.

სამივე გუნდი სრული საბრძოლო შემადგენლობით აპირებს სპორტის სასახლეში ასპარეზობას. აი, ბერძნებს კი სულაც საუკეთესო შემადგენლობა მოჰყავთ. მათ შორის, ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიდაური).

"2009 წლის სეზონის გამხსნელ ტურნირზე ჩამოსვლის სურვილი უკვე თხუთმეტი ქვეყნის ნაკრებმა გამოთქვა. განაცხადების მიღება დღემდე გრძელდება და, სავარაუდოდ, მათი რაოდენობა უფრო გაიზრდება. ბერძნებმა "მსოფლიო თასის" დასრულების შემდეგ თბილისში დარჩენისა და ერთობლივ წვრთნებში მონაწილეობის სურვილიც გამოთქვეს. აქამდე ასეთი წინადადებით შვეიცარიამ და მოლდოვამ მოგვმართეს", - ვითარებაში გვარკვევს ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი მამუკა ხაბარელი.



სპორტის სასახლეში ილიას ილიადისის (ჭარჭი ზვიდაურსაც) ვიზიტი.

ყველაზე მცირერიცხოვანი დელეგაცია თბილისში პოლონეთს ეყოლება - სანაკრებო განაცხადი არ გაუკეთებიათ. ტატამზე მხოლოდ მსაჯს გაიყვანენ.

ყველაზე მცირერიცხოვანი დელეგაცია თბილისში პოლონეთს ეყოლება - სანაკრებო განაცხადი არ გაუკეთებიათ. ტატამზე მხოლოდ მსაჯს გაიყვანენ.

ყველაზე მცირერიცხოვანი დელეგაცია თბილისში პოლონეთს ეყოლება - სანაკრებო განაცხადი არ გაუკეთებიათ. ტატამზე მხოლოდ მსაჯს გაიყვანენ.

## ტოტის საკითხს ლიპი გადაწყვეტს

იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მარჩელო ლიპის თქმით, "რომას" ნახევარმცველის გუნდში დაბრუნების საკითხი მხოლოდ მისი გადასაწყვეტია.

"ის ფაქტი, რომ ტოტი ნაკრებში დასაბრუნებლად მზადაა, მისასალმებელია, მაგრამ მე ერთადერთი ვარ, ვინც საკადრო გადაწყვეტილებებს იღებს. როდესაც ფრანჩესკომ საერთაშორისო კარიერის დასრულება გადაწყვიტა, მის ნაბიჯს გაგებით მოვეკიდეთ, რადგან ეს მისი გადაწყვეტილება იყო. ახლა გადაწყვეტილებას მე მივიღებ", - განაცხადა ლიპიმ.

## სანტა კრუზი 25 მილიონად შეფასდა

პარაგვაის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ინგლისის "ბლექბერნის" თავდამსხმელ როკე სანტა კრუზის განაცხადებით, რომლის შეძენა "მანჩესტერ სიტის" სურს, კლუბი მზადაა, მას 25 მილიონ ფუნტად შეელოს.

"ვფიქრობდი, რომ "ბლექბერნი" მანჩესტერელთა მიერ ჩემს სანაცვლოდ შეთავაზებულ 16 მილიონ ფუნტს დათანხმდებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ შემცველს ვერ მომიძებნის და ამიტომ არ მიშვებს. ყველა ამბობს, რომ ბლექბერნელს ჩემს ტრანსფერში 20 მილიონის მიღება სურთ. არ ვიცი, "მანჩესტერ სიტი" თანხას გაზრდის თუ არა, მაგრამ "ბლექბერნი" მიიხრეს, რომ მზად არიან 25 მილიონად გამიშვან", - აღნიშნა სანტა კრუზმა.

## "უელვამ" მცველი ინათხოვრა

ესპანეთის პრემიერლიგის მოასპარეზე "უელვამ" იტალიის "უდინეზედან" შვეიცარიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მცველი ალენ ნეფი სეზონის ბოლომდე ინათხოვრა.

მიმდინარე სეზონში შვეიცარიელმა "უდინეზეს" რიგებში მხოლოდ ორჯერ ითამაშა და ისიც შეცვალა.

ნეფი უდინურ კლუბში 2008/2009 წლების სეზონის წინ "პიჩენცადან" გადავიდა, სადაც ორი სეზონის განმავლობაში 69 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა.

შვეიცარიის ეროვნულ ნაკრებში მისი დებიუტი გასულ წელს გაიმართა და საერთო ჯამში ჩატარებულ ორ მატჩში ნეფმა ერთი გოლი გაიტანა.

## "რაპიდს" ორი მწვრთნელი ეყოლება

რუმინეთის საფეხბურთო პირველ ლიგაში მოასპარეზე ბუქარესტის "რაპიდს", პორტუგალიელი სპეციალისტის ჟოზე პესეირუს ნაცვლად, ნიკოლაე მანისა და მარიან რადას ტანდემი ჩაუდგება სათავეში.

რუმინული სპორტული გამოცემების ინფორმაციით, აქამდე მანია "რაპიდის" გენერალური დირექტორის მოადგილე იყო, ხოლო რადა მეორე გუნდს ავარჯიშებდა.

პესეირუმ კლუბთან კონტრაქტი მას შემდეგ გაწყვიტა, რაც ოთხი თვის განმავლობაში კუთვნილი ანაზღაურება არ მისცეს.

## რედნაპმა ადრიანოს დაადგა თვალი

იტალიური "ინტერის" ბრაზილიელ ფორვარდ ადრიანოს აგენტი ჟილმარ რინალდი ირწმუნება, რომ მისი კლიენტი ინგლისურ "ტოტენჰემში" გადასვლას არ აპირებს. სამშაბათს, "ინტერისა" და "ჯენოას" სათასო მატჩის დროს, ჟურნალისტებმა "სან სიროს" ტრიბუნაზე შეამჩნიეს ლონდონური კლუბის თავკაცი ჰარი რედნაპი, რომელიც იტალიაში მხოლოდ ფეხბურთის სანახავად არ ჩავიდოდა. სწორედ ამის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ტოტენჰემი", რომელსაც ყველაზე მეტად თავდასხმაში უჭირს, "ნერაძურის" ბრაზილიელი ფორვარდის გადაბირებას აპირებს.

"ადრიანო ლონდონში წასვლას არ აპირებს - ის "ინტერში" რჩება. ჟოზე მორინიომ ჩემი კლიენტი დაარწმუნა, რომ ის გუნდისთვის საჭირო ფიგურაა და დარჩენა ურჩია. ეს აბსოლუტური სიმართლეა და მეტის დამატება არ შემიძლია. სიმართლე გითხრათ, კლუბის ხელმძღვანელობასთან ამ ჭორებზე არ მისაუბრია, რადგან მიმჩნია, რომ მის გამო იტალიაში ჩასვლა არ ღირს", - ამბობს რინალდი.

ცოტა ხნის წინ ადრიანოს "ინტერში" სერიოზული პრობლემები ჰქონდა - კლუბის შეფები აქტიურად განიხილავდნენ ბრაზილიელის კასხვისების საკითხს. ერთხანს ის სამშობლოშიც კი გაისტუმრეს, იმ იმედით, რომ მშობლიურ გარემოში გარკვეული დროის გატარება ფეხბურთელს ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევაში დაეხმარებოდა. რინალდის სიტყვებს თუ ვენდობით, ბრაზილიურ ვოიაჟს ადრიანოსთვის მართლაც უნამლია - ახლა ის მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრობს.

# როი ჯონსმა პენსიაზე უარი თქვა



როი ჯონსმა არჩევანი ჯერმენ ტეილორსა და პოლიფლდს შორის უნდა გააკეთოს.

## გიზა ბურასაშვილი

მსოფლიო კრივის სამყაროს ერთ-ერთი თვალსაჩინო ჩემპიონი, უფრო სწორად, ოთხი სხვადასხვა წონითი კატეგორიის ყოფილი ჩემპიონი როი ჯონს-უმცროსი, რომელმაც შარშან, ნოემბერში, უელსელ ჯო კალზაგესთან დამარცხდა, კარიერის დასრულება არ გაუნზრახავს. მარტში ის მშობლიურ ქალაქ პენსაკოლაში (ფლორიდა) ჩხუბს აპირებს. ყოველ შემთხვევაში,

Pensacola News Journal -თან ინტერვიუში ამერიკელი მოკრივე ორთაბრძოლის დროს და ადგილს ასახელებს. დრო: 21 მარტი, არენა: "სივიკ სენტერსი".

ახლა, როცა დრო და ადგილი ცნობილია, ცნობილია ისიც, რომ როი ჯონსს (52 გამარჯვება, აქედან 38 ნოკაუტით და 5 ნაგება) ძველებურად ერჩის ძალა, გასარკვევი ხდება მეტოქის ვინაობა. მდგომარეობა ცოტა გაურკვეველია - ერთ-ერთ შესაძლო მეტოქედ 31 წლის ჯერმ-

ენ ტეილორი (28 გამარჯვება, აქედან 17 ნოკაუტით, 2 ნაგება და 1 ფრე) სახელდება.

"წლების განმავლობაში გულმემატიკურები ჭირშიც და ლხინშიც გვერდით მედგნენ. ასეთი მხარდაჭერისთვის მათ წინაშე ვალში ვარ. მე კი მხოლოდ ასე შემიძლია გადავიხადო ეს ვალი".

39 წლის მოკრივეს, რომელიც მისთვის საუკეთესო წლებში ერთ-ერთ ყველაზე კამკამა ვარსკვლავად ითვლებოდა, შესაძლო მეტოქეთა ნუსხაში ჰყავს მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი ევანდერ პოლიფლდი.

როი ჯონს-უმცროსისა და პოლიფლდის შერკინების შესაძლებლობა არაერთხელ განხილულა, მაგრამ მხარეები ვერც ერთხელ ვერ შეთანხმდნენ ჰონორარის განაწილებაზე. თითოეული მათგანი უფრო მეტს ითხოვდა, ვიდრე სთავაზობდნენ. ამის გამო ჰონორარის საკითხი შესაძლოა ისევ განმსაზღვრელი აღმოჩნდეს, მაგრამ ასევე შესაძლოა, ჰონორარის განაწილებაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ის, თუ რამდენად შეძლებენ ორგანიზატორები ამ თანხის შეგროვებას.



AFP - 2009

შვეიცარიის ალპებში ჩაკარგულ ვენგენში შაბათს სამთომოთხილამურეებს სწრაფდაშვებაში მსოფლიო თასი აქვთ გასათამაშებელი. მანამდე ოფიციალური ვარჯიშებიც გახურებული. გუშინ მეორე ვარჯიშისას კი ვენგენის სათხილამურო ტრასას შვეიცარიელმა პილოტებმა საკუთარი F5-ის ტიპის თვითმფრინავებით გადაუფრინეს და დამსწრეთ უჩვეულო სანახაობა შესთავაზეს.



სამხრეთ გერმანიის რუპოლდინგში ბიატლონში მსოფლიო თასის მეხუთე ეტაპზე 4x7,5 კილომეტრზე ვაჭთა ესტაფეტაში საუკეთესონი ნორვეგიელები აღმოჩნდნენ. სკანდინავიელებს ფეხდაფეხ მიყვანენ გერმანელები და ავსტრიელები. განსაკუთრებით ლამაზი სანახაობა სწორედ დასკვნითი ეტაპი აღმოჩნდა. მომავალი პრიზიორები ფინიშისკენ ლამპიონებით განათებული ტრასით მიუყვებოდნენ.

AFP - 2009

**გაბაზაჰნეთ სმს**  
 ჯეოსელიდან ,  
 მათიდან , ბილინიდან  
 ნომერზე - 30-30 და  
 1 ლარით ყოველთვიურად  
 დაეხმარებით  
 მზრუნველობამოკლებულ  
 ბავშვებს. ერთჯერადი  
 დახმარებისათვის დარეკეთ  
 ნომერზე 30-30 და ფონდ  
 ივენანას ანგარიშზე  
 ავტომატურად ჩაირიცხება  
 1 ლარი.

**შეშოგვიერთდით,  
 ერთად  
 დავუბრუნოთ  
 გავშვები  
 თავიანთ  
 ოჯახებს!**

ფონდი ივენანა  
 გაზეთი 24 საათი



# ბანცხადება ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომუშყებლობის დეპარტამენტი (ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი ქ. N41, მე-3 სართული) აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ინტელექტუალური მომსახურების - ყოველკვირეული მუსიკალური სატელევიზიო თოქ-შოუს - სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

M2. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის უნდა დამზადდეს მუსიკალური გადაცემები სატელევიზიო თოქ-შოუს სახით ყოველკვირეული ეთერისათვის.

3. მომსახურება შემსყიდველისათვის მიწოდებული უნდა იქნას ეტაპობრივად, ყოველკვირეულად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 30 დეკემბრამდე;

4. ტენდერის პირველ ეტაპზე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ პირველადი სატენდერო წინადადებები ღირებულების მითითების გარეშე და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

### 5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სამსახურიდან);

გ) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

დ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მის წარმომადგენლობაზე უფლება-მოსილი პირი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სამმართველოდან);

### 5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი სასამართლოდან).

გ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სამმართველოდან);

### 5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

ბ) ინფორმაცია ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.

გ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

დ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან/და მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.

ე) მონაწილის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, ბანკის რეკვიზიტები)

6. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე.

**7. ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

ა) პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე;

ბ) პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ერთი დახურული კონვერტი;

გ) პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი უნდა იქნას ყოველკვირეული მუსიკალური სატელევიზიო თოქ-შოუს (მომღერალი და აუდიტორია, რომელიც მონაწილეობს გამოკითხვებში) შექმნის პირობები და მონაცემები შედგენის ფორმის შესახებ, რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

8. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 5 თებერვალს 9.00 საათიდან 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: (ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი ქ. N41, მე-3 სართული).

9. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები პრეტენდენტთა თანდასწრებით გაიხსნება 2009 წლის 5 თებერვალს 17 საათზე.

10. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

11. ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების ვადას სატენდერო კომისია განსაზღვრავს პირველადი სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ, ხოლო პირველი ეტაპის შედეგები ეცნობება პირველადი სატენდერო წინადადებების წარმომდგენ ყველა პირს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში;

12. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებინ პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატის წევრის მათა ხომერკისაგან, მისამართი: (ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი ქ. N41, მე-3 სართული). ტელ. 7-43-82.

### სატენდერო კომისია

## ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია აცხადებს ტენდერს ქალაქ თბილისში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის (ბ.მ.ა.) ინსტიტუტის განვითარებისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. **შესყიდვის ობიექტია** ქალაქ თბილისში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის (ბ.მ.ა.) ინსტიტუტის განვითარებისათვის საჭირო მომსახურება, რაც მოიცავს:

ა) ბ.მ.ა-ს სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების დასახვასა და დამუშავებას;

ბ) ბ.მ.ა-სთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის შექმნასა და მის სისტემატიზაციას;

გ) ბ.მ.ა-ს ინსტიტუციური განვითარებისათვის საჭირო საკანონმდებლო ინიცირებას;

დ) ბ.მ.ა-ს განვითარებისათვის საჭირო უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას, საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით;

ე) ბ.მ.ა-ს წევრთა და ხელმძღვანელთა სპეციფიკურ განათლებასა და ამხანაგობის ეფექტიანი მართვისათვის საჭირო უნარ ჩვევების განვითარებას;

ვ) ბ.მ.ა-სთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (სათამაშო მოედნები, ავტოფარეხები, მინი სკვერები და სხვა) სწორ მენეჯმენტს და მიმდინარე პრობლემების გადაჭრის გზების დასახვას;

ზ) ქალაქ თბილისის მამულებზე ბ.მ.ა-სთვის საერთო და სისტემურ კოორდინირებას;

თ) ბ.მ.ა-ს მართვის სრულ და სისტემატურ მონიტორინგს.

2. მომსახურების განევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 16 იანვრიდან იმავე წლის 5 თებერვლის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, შ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ანგარიში: 200122900

ბანკის კოდი: 220101222

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქალაქ თბილისში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის (ბ.მ.ა.) ინსტიტუტის განვითარებისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 5 თებერვლის 11:00 საათიდან 16:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, შ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

### 6.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

### 6.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

### 6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ბ) ცნობა მომსახურებ ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

8. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სოფიკო ვაჩიშვილი, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, შ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

### სატენდერო კომისია



# ბანკხალვა ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საექსპლუატაციო დაწესებულება საქართველოს სააგრომომბილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, ად. ენაძის ქ. 12) აცხადებს ტენდერს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის კმ.153-კმ.160 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესახებ და დაინტერესებულ პირებს განუცხადებს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამუშაოების შესრულების ვადა - 2009 წლის განმავლობაში. მხარეებს შორის შეთანხმებული ვადების შესაბამისად. გასაწვევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ პირებს ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლება 200 ლარის ოდენობის სატენდერო მისაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის №200122900, მძღვები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, საბანკო მისამართი: საქართველოს სახაზინო კოდი: 302005000, სატენდერო მისაკრებელი სააგრომომბილო გზების დეპარტამენტი). სატენდერო მისაკრებელის გადახდამდე დაინტერესებულ პირებს ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეეძლება შემსყიდველ ორგანიზაციაში. სატენდერო დოკუმენტაციის, როგორც გაცნობა, ასევე გაცნობა შესაძლებელია 2009 წლის 16 იანვრიდან 2009 წლის 8 თებერვლის ჩათვლით (სამუშაო დღეებში და საათებში). შემდეგ მისამართზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საექსპლუატაციო დაწესებულება, საქართველოს სააგრომომბილო გზების დეპარტამენტი, მე-4 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამსახურში.

4. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინოს 2 კვ.სმ.მ.დ.მ.დ. და ახალი ცალკე ცალკეული კონვერტებით. 2009 წლის 9 თებერვლის 9<sup>00</sup> საათიდან 18<sup>00</sup> საათამდე და 2009 წლის 10 თებერვლის 9<sup>00</sup> საათიდან 12<sup>00</sup> საათამდე, ორ კვ.სმ.მ.დ.მ.დ. (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ად. ენაძის ქ. 12, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საექსპლუატაციო დაწესებულება საქართველოს სააგრომომბილო გზების დეპარტამენტი, პირველი სართული, საერთო განყოფილება.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მოთხოვნების თანახმად დავიანგებოთ შემოსულ სატენდერო წინადადებებს დეპარტამენტის სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად დააბრუნებს უკან.

მიღება მხოლოდ ორიდული სტატიის შესახებ პირებს განცხადდება.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1.1. ორიდული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან.

ბ) ხელისმომწერიის გაკეთებული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

გ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების შესახებ.

5.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი, დაცემის რეგულირებული სახელმწიფო დაწესებულებიდან რომ მას მიღიანად ან წაწილობრივ არ აქვს შესრულებული ქვეითუნარიანობა;

ბ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების შესახებ.

5.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე ორიდული პირისათვის:

ა) ინფორმაციას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარების და აპარატურის შესახებ.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გაიანგებოს საკუთარი ან საქართველოს საშემოსავლო კოდექსით ნებადართული ან აკრძალული ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვნა და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები, მოწყობილობები, დანადგარები და აპარატურა.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნილ პირობებს.

№	მანქანა-მექანიზმების და დანადგარების დასახელება	აღწერილობა - მოდელი, ტიპი, მარკა და ახაკი	დაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახშირი, მოხუცებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები
1					
2					
და ა.შ.					

ბ) ინფორმაციას პრეტენდენტი პირის ძირითად სპეციალისტთა (იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

პრეტენდენტი პირის ძირითადი სპეციალისტების 50% უნდა გაიანგებოს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (სააგრომომბილო გზების მშენებლობა, ან/და რეკონსტრუქცია, ან/და მოდერნიზაცია, ან/და რეაბილიტაცია, ან/და პერიოდული შეკეთება) სამუშაოს შესრულების არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება	ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამაფუძნებლის წელი, სპეციალობა დიდობის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ან ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით)
1				
2				
და ა.შ.				

გ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ (3 წლიანი უწყვეტი გამოცდილება საკვალდებულო არ არის).

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირს უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული უნდა აქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (სააგრომომბილო გზების მშენებლობა, ან/და რეკონსტრუქცია,

ან/და მოდერნიზაცია, ან/და რეაბილიტაცია, ან/და პერიოდული შეკეთება) სამუშაოები, საერთო დარბეულებით 15 მლნ. ლარის ოდენობით. ამასთან ამ პერიოდში ერთ-ერთი ობიექტის ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების დირბეულება უნდა შეადგენდეს 800 000 ლარს.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება სააგრომომბილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

უშუალოდ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირს (ქვეკონტრაქტორის გარეშე) გამოცდილება უნდა შეადგენდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების საერთო გამოცდილების არა ნაკლებ 50%.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

№	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შესყიდველის დასახელება	ხელშეკრულების დირბეულება	შენიშვნა სასურველი ხელშეკრულების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის
1				
2				
და ა.შ.				

დ) ინფორმაციას ქვეკონტრაქტორის მიერ გასაწვევი სამუშაოების შესახებ.  
- შენიშვნა: ქვეკონტრაქტორის აქვანის შემთხვევაში, ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

გასაწვევი სამუშაოს სახე	ქვეკონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	ქვეკონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება (მითითებული იქნას ის ძირითადი ობიექტები, რომელზეც ქვეკონტრაქტორს შესრულებული აქვს ანალოგიური სამუშაოები)
1		
2		
და ა.შ.		

- ქვეკონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლივად. ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის 40%.

6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

7. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაციები დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადაიშვებული ინდივიდუალურად.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენილი პრეტენდენტის მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვების გზით.

9. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანს ეძღაბა ადმინისტრაცია.

10. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

შესაძლებელია აღტენიებული წინადადების წარმოდგენა, აღტენიებული წინადადება უნდა იყოს დასაბუთებული და ხრულყოფილი. შესაბამისი ნახსებობით და გაანგარიშებით, წინააღმდეგ შემთხვევაში დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ ის არ განიხილება.

11. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში დიკონსტრუქციის სადასტავო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტის სატენდერო წინადადების დირბეულების არა ნაკლებ 1% ოდენობით. (სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ძალაში უნდა იყოს 90 დღე დაწვეული 10.02.2009წ.)

12. სატენდერო წინადადების შესრულება (რომელიც სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელიც არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

13. გამარჯვებულმა ორიდულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური დირბეულების 5% ოდენობით.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეეძლება მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საექსპლუატაციო დაწესებულება საქართველოს სააგრომომბილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურში, საკონტაქტო ტელეფონი 37.05.08 დამატებით 2.16 გია დიახაშიძე.

სააგრომომბილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისია

## ბანკის ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, აღ. ვახუშტის 12) აცხადებს ტენდერს საერთაშორისო მნიშვნელობის სამკრედილო-ლანსხუთი-სუფსა-კრთვალის საავტომობილო გზის კმ.1-კმ.15 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესასრულებლად და იქვე ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ თვითღირს ან/და ფიზიკურ პირებს.

